



თარგმანები ქართულიდან ესპანურად, 1970 წლიდან დღემდე
კვლევა განხორციელდა Next Page Foundation-ის მიერ Book Platform-ის პროექტის
ფარგლებში

მაია გუგუნავა¹
ინგლისურიდან თარგმნა სოფო ბუჯიაშვილმა²
დეკემბერი 2012

¹ მაია გუგუნავა ესპანური ენის სპეციალისტია

² სოფო ბუჯიაშვილი - ინგლისური და შვედური ენების მთარგმნელი.

This text is licensed under Creative Commons



შესავალი

მოცემული ნაშრომი მოიცავს ესპანეთის საგამომცემლო ბაზრის და ქართულ-ესპანური თარგმანებისა და სარედაქციო საქმიანობის შესახებ ძირითად საკითხებს.

პირველ თავში წარმოდგენილია ქართული ლიტერატურის წარმომავლობის ისტორიული მიმოხილვა და თარგმანის განვითარების ისტორიული მიმოხილვა.

მომდევნო თავი მიძღვნილია ესპანეთში სარედაქციო საქმიანობისადმი, წიგნის ბაზარზე დღეს არსებული სიტუაციისადმი.

და ბოლოს, ქართულ-ესპანური ლიტერატურული თარგმანების სტატისტიკური მონაცემები და მისი სამომავლო განვითარება. კვლევა შეიცავს ბიბლიოგრაფიულ მასალას ქართული ლიტერატურულ-სამეცნიერო ნაშრომების ესპანურ ენაზე თარგმანებისა და სხვადასხვა გამოცემაში გამოქვეყნების შესახებ. ნაშრომი ასევე მოიცავს სარედაქციო და მთარგმნელობით სფეროში არსებულ პრობლემებს, რომელსაც ქართული სარედაქციო სამყარო ხვდება, და მეთოდებს და საშუალებებს მათ გადასაჭრელად.

ნაშრომის ბოლოს აღწერილია ქართული დიასპორისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის საქმიანობა და მათი როლი ესპანეთში ქართული კულტურის გავრცელების საკითხში.

კვლევის მოკლე აღწერა და ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია მოცემულია დასკვნაში.

წინასიტყვაობა

ქართველი ხალხის მოცემული ლიტერატურული ტრადიციების და გეოპოლიტიკური წარსულის გათვალისწინებით, მთარგმნელობით საქმიანობას დიდი ისტორია აქვს. რაც შეეხება ესპანეთსა და საქართველოს ურთიერთობას, იგი რამდენიმე საუკუნის წინ დაიწყო, რაც დოკუმენტურადაა დადასტურებული სიმანკას ესპანურ არქივებში დაცული ხელნაწერი წყაროებით და ჩანაწერებით საქართველოსა და ესპანეთის მეფესა და დიპლომატიური წარმომადგენლებს შორის მიმოწერის და ურთიერთობის შესახებ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ესპანეთში დაარსდა ქართული სამეფო სახლი, რომელმაც მნიშვნელოვნად წარადგინა ქართული კულტურა ქვეყანაში. მათ შემდეგ, ესპანეთმა, როგორც ქართული დიასპორის ცენტრმა, შეასრულა უდიდესი როლი. გაიზარდა კულტურული აქტივობების რაოდენობა. თუმცა, სამწუხაროდ, ამ შემოქმედებითი სამუშაოს უმრავლესობა ნახსენები არ არის ლიტერატურული/მთარგმნელობითი გადმოსახედიდან.

ბოლო პერიოდში საქართველოსა და ესპანეთს შორის ლინგვისტური და სამეცნიერო აქტივობის მხრივ ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელიც ძირითადად ეფუძნება ქართველი და ესპანელი იბერიელების ერთი წარმომავლობის ჰიპოთეზას, რომელსაც ბევრი ლინგვისტი და ისტორიკოსი უჭერს მხარს. ბევრი მეცნიერ-ლინგვისტის ნაშრომი არის გამოქვეყნებული ესპანეთში ქართული და ბასკური კულტურების წარმომავლობის შესახებ.

რაც შეეხება ქართულ ლიტერატურულ ნაშრომებს, რომლების ესპანეთში გამოქვეყნდა, განსაკუთრებით 80-იან წლებში, ისინი ესპანურ ენაზე ნათარგმნია ძირითადად რუსულიდან, ქართულის ცოდნის ნაკლებობის, ან ჩვენი ლიტერატურის რუსულ ენაზე მეტი ხელმისაწვდომობის გამო.

მოცემული კვლევა გვაჩვენებს, რომ ძირითადად 6 საგამომცემლო სახლია რომელიც ესპანეთში ქართული ლიტერატურის ესპანურენოვან თარგმანს გამოსცემს: Editorial Complutense (მადრიდი), Círculo de lectores (Group Planeta) (მადრიდი), Editorial Fher (ბილბაო), SPICUM, Editorial of University of Malaga (მალაგა), Susaeta DL. (მადრიდი) Mitre (ბარსელონა).

ისტორიული ფონი

ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ტრადიციის წარმომავლობა და განვითარება

ქართველების უძველესი ლიტერატურული ტრადიციისა და გეოპოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, მთარგმნელობით საქმიანობას დიდი ისტორია აქვს, რომელიც მუდმივად მდიდრდებოდა დიდ მეზობელ ცივილიზაციებთან კონტაქტებით.

ქართული ლიტერატურის და მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარება მე-4-5 საუკუნიდან იწყება, როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს. ამგვარად, სალიტერატურო ენის გაჩენა დასაწყისში შემოიფარგლებოდა რელიგიური თემებით - ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია, ლიტურგიული პოეზია და წმინდა ტექსტების თარგმანები და იმავდროულად, დიდი ძალისხმევა იყო ჩადებული ბერძნული, სომხური და სირიული ენებიდან ტექსტების თარგმანში. მაგრამ გაქრისტიანებამდეც, ქართული ანბანი ჩამოყალიბდა მაშინ, როცა სპარსულ და ბერძნულ მითებსა და ზღაპრებს ქართულ ფოლკლორად აქცევდნენ. ყველაზე პოპულარული ლეგენდები ქართველი პრომეთეს, ამირანის შესახებაა.

თანდათან ლიტერატურული საქმიანობა ისტორიაზე გავრცელდა, დაწყებული საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევიდან ქართველი მეფეების მატთანებით გაგრძელებული.

შუა საუკუნეებში ლიტერატურული საქმიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ბერძნული რენესანსის გავლენის და დავით IV აღმაშენებლის მიერ რამდენიმე საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნების შედეგად. დასავლურ და აღმოსავლურ სამყაროებს შორის მედიატორული პოზიციის გამო, საქართველო იმ პერიოდის თარგმანის ცენტრად იქცა.

თარგმანები საქართველოში ხორციელდებოდა ფაზისის (დაფუძნდა IV საუკუნეში), გელათის (IX-XII საუკუნეები) და იყალთოს (XII საუკუნე) აკადემიებში, ასევე ქვეყნის გარეთაც: სირიაში შავ მთაზე, ეგვიპტეში სინაის მთაზე, საბერძნეთში ოლიმპის და ათონის მთაზე და ბულგარეთში პეტრიწონ-ბოჩკოვოს მონასტერში. იოანე პეტრიწი, მე-11 ან მე-12 საუკუნეების ქართველო ნეოპლატონური ფილოსოფოსი იყო, რომელიც ცნობილია პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ („თეოლოგიის ელემენტები“) თარგმანისათვის თანდართული ვრცელი კომენტარებით. მან მრავალი ფილოსოფიური ნაშრომი თარგმნა, ძირითადად ნეოპლატონური, მიზნად ისახავდა რა უდიდესი კლასიკოსი მოაზროვნეების იდეების ქრისტიანობის მთავარ მესიჯზე მორგებას.

კ. ვივიანის თანახმად, „ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურული ნაშრომები ძვირფას ინფორმაციას ამატებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და კულტურების კვლევებს, ვინაიდან ისინი გვეხმარება რიგი დაკარგული ბერძნული, სირიული, სპარსული და არაბული ორიგინალური წერილების აღდგენაში. მაგალითად, ქართული ვისრამიანი (მე-12 საუკუნე) ინდური რამაიანას თარგმანია და ბალავარიანი (მე-10-მე-11 საუკუნეები) ბუდას ისტორიის ქრისტიანული ვერსიაა.

მე-10 საუკუნეში ბიზანტიური იმპერიის დასუსტებასთან ერთად, საქართველოს მმართველებმა მიაღწიეს საერო ლიტერატურის განვითარების ხელშესაწყობად საკმარის კეთილდღეობას. მეფე დავით IV აღმაშენებლის და მოგვიანებით, თამარ მეფის ზეობისას იყო კულტურული ოქროს ხანა, რომელმაც გასტანა მე-11

საუკუნიდან მე-13 საუკუნემდე. ისინი ხელს უწყობდნენ ხელოვნების ყველა სფეროს, განსაკუთრებით კი პოეზიასა და პროზას.

შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ-ალეგორიული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მიჩნეულია ქართული ლიტერატურის შედეგად, ამ პერიოდისა და შუასაუკუნეების საქართველოს ეპოსის უდიდესი პოემაა. ის ასევე ქართულ ლიტერატურულ ნაშრომებს შორის ყველაზე ხშირად ნათარგმნია უცხო ენებზე.

მონღოლების შემოსევის შედეგად, ოქროს ხანის ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები დაიკარგა. რაც დღემდე გადარჩა მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც დაიწერა და ეფექტურად დაასრულა 2 საუკუნის ლიტერატურული პროდუქცია. ამას მოჰყვა დაპყრობების ხანგრძლივი პერიოდი მე-17 საუკუნემდე, როდესაც ხელოვნების რენესანსის ახალი ერა დადგა. ამ უკანასკნელს, ვერცხლის ხანას უწოდებენ.

მას შემდეგ, ლიტერატურული საქმიანობა აგრძელებს არსებობას, ტოვებს რა ცნობილ სახელებს ლიტერატურის სფეროში.

კვლევები ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ისტორიაზე

ქართველი მკვლევარის, ე. ხინთიბიძის თანახმად „უკანასკნელი 2 საუკუნის მანძილზე, სლავურმა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ინტერესი გამოხატეს ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ქართული ლიტერატურული ნიმუშების თარგმნის შესწავლისადმი“. პირველი ვრცელი მიმოხილვა ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნდა რუსეთში, 1802 წ: ევგენი ბულხოვიტინოვის „საქართველოს ისტორიული აღწერა მის პოლიტიკურ, ეკლესიურ და საგანმანათლებლო მდგომარეობაში“, სანკტ პეტერბურგი, 1802 (რუსულ ენაზე). თუმცა ის არ იყო ქართული კულტურის პირველი მკვლევარი. ე. ბოლხოვიტინოვის 1802 წელს საქართველოს ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე გამოქვეყნებულ წიგნს წინ უძღოდა საქართველოში იტალიელი მისიონერებისა და მოგზაურების თითქმის ორი საუკუნის წინანდელი გამოცემები. საკმარისია დავასახელოთ საქართველოს შესახებ იტალიაში, მე-17 საუკუნეში გამოცემული წიგნები: პიეტრო დელა ვალე, *Informazione della Giorgia...*, რომი 1627; პ.-მ. დი ფაენცა, *Siencera relazione de regni della Georgia*, ნეაპოლი 1621; ა. ლამბერტი, *Relatione della Colchida, hoggi della Mengrellia...* ნეაპოლი 1654. იტალია ის ქვეყანაა, სადაც ქართველოლოგია დაიწყო ევროპაში. პირველი ქართულენოვანი წიგნები იტალიაში დაიბეჭდა 1629 წელს: ქართული ანბანი, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, *Litania Lauretana* (წმინდა ქალწული მარიამის ლოცვა). 1643 წელს დაიბეჭდა პირველი სამეცნიერო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე: მაჯიო ფრანცისკო მარიას ქართული გრამატიკა - *Syntagmata linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur...* (Romae, MDCXLIII). არაქართულ გამოცემებში ქართული ლიტერატურის სამეცნიერო კვლევა ევროპაში დაიწყო. ესენი იყო: ფრანზ კარლ ალტერის *Alter's Über georgianische Literatur*, ვენა, 1798წ. რაც შეეხება ქართული ლიტერატურული შედეგის, შოთა რუსთაველის

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ თარგმანს, პირველი გამოცემა ევროპაში პოლონურ ენაზე იყო, შესრულებული კ. ლაპცინსკის მიერ (Biblioteka Warszawska 1863).

საუკეთესო ქართველი მწერლები სრულად იყო ნათარგმნი რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების მიერ: ა. ბალმონტი, ბ. პასტერნაკი, ბ. ახმადულინა, ა. ტარკოვსკი, ნ. ტიხონოვი, ა. ახმატოვა, მ. ცვეტაევა, ო. მანდელშტამი, ე. ევტუშენკო, ი. ბროდსკი და სხვ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო რუსულენოვანი ლიტერატურული გამოცემა საქართველოში „Литературная Грузия“. ეს ჟურნალი რეგულარულად აქვეყნებდა რუსი ლიტერატორების თარგმანებსა და მათ ქართული ლიტერატურის კვლევებს.

თუმცა, საბჭოთა პერიოდში ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც ხშირად ცენზურას გადიოდა, სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობა კვლავ დაიწყო, მაგრამ მრავალი წლის მანძილზე რჩებოდა ქვეყნის ფარგლებს შიგნით და მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყო დასავლეთისაკენ გზის გაკვალვა.

I. საგამომცემლო და თარგმანის ბაზარი ესპანეთში - მიმოხილვა

საგამომცემლო ბაზარი

უკანასკნელი წლების მანძილზე ესპანეთის საგამომცემლო ინდუსტრიის განვითარება არის რეალური ნიშანი პარტნიორობის სიძლიერისა და სიმტკიცისა, რომელშიც შეინიშნება წარმოების მზარდი ტენდენცია, ასახული მნიშვნელოვან ბიზნეს საქმიანობაში. ესპანეთი რჩება ევროპული საგამომცემლობის მეოთხე ძალად დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და იტალიის შემდეგ. ბოლო 4 წლის მანძილზე საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქვეყანა ევროკავშირის 4 ქვეყანას შორისაა წიგნის ექსპორტის მხრივ, საფრაგნეთი, მექსიკა და გაერთიანებული სამეფო ძირითადი მიმღები ქვეყნებია.

მათი ლიდერობა დაფუძნებულია კარგ შრომასა და ძალისხმევაზე სექტორში. მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ესპანურ ენასაც. სერვანტესის ინსტიტუტის ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 450 მილიონი ადამიანისათვის ესპანური მშობლიური ენაა. ამ მონაცემის მიხედვით ესპანური მეორე ყველაზე გავრცელებული ენაა საერთაშორისო კომუნიკაციის და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ვისთვისაც ესპანური მშობლიური ენაა.

1999 წლიდან ყოველ წელს ესპანეთის საგამომცემლო გილდიების ფედერაცია ატარებს წიგნის შიდა ბაზრის კვლევას, რომელიც ხორციელდება გილდიის წევრ საგამომცემლო სახლებისა და ფედერაციის წევრი ასოციაციებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე. ეს ანგარიში, რომელიც სრული საგამომცემლო

საქმიანობის შემოსავლის 90%-ს ასახავს, აძლევს წიგნის სექტორის პროფესიონალებს ესპანეთში გამოცემული წიგნების წარმოებისა და გაყიდვის სურათს, ასევე ინფორმაციას ისეთ თემებზე, როგორცაა დასაქმება, ჯიბის წიგნების გამოცემა, გამოცემა სხვა მედიაში, საშუალო ფასები და მარკეტინგული არხები.

ესპანეთის გამომცემელთა გილდიების ფედერაციის ფარგლებში საგამომცემლო ინდუსტრია ესპანური კულტურული პანორამის მთავარი ეკონომიკური ძრავაა, რომელსაც, 2011 წლის ნოემბერში კულტურის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ესპანეთში კულტურის სატელიტური ანგარიშის კვლევის: „შედეგების გაუმჯობესება 2000-2009 წლებში“ მიხედვით, 2000-2009 წლებში სხვა კულტურულ ღონისძიებებთან შედარებით საშუალოდ ეკონომიკური ღირებულების 40.3% წვლილი შეაქვს მშპ-ში (მთლიან შიდა პროდუქტში).

2010 წელს ესპანეთის ISBN (წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი) სააგენტოს მონაცემების მიხედვით, რომელიც შეგროვდა 2011 წელს ესპანური წიგნების გამოცემების მიმოხილვის საფუძველზე, 367 ახალმა კომპანიამ დაიწყო საგამომცემლო საქმიანობა ესპანეთში, რის შედეგადაც აქტიური გამომცემლობების რაოდენობამ 3474-ს მიაღწია. ამ რიცხვში წარმოდგენილია ავტორი-გამომცემლები და ყველა მოცულობის საგამომცემლო კომპანიები. ISBN-ის მიხედვით, ესპანეთში 1500-მდე კერძო საგამომცემლო ფირმაა საიდანაც 59% (დაახლოებით 890 ფირმა) პროფესიულ ასოციაციებს ეკუთვნის.

ცენტრალური ბიზნეს ცნობარის მიხედვით 2011 წლის 1 იანვარს ესპანეთში 8598 რეგისტრირებული კომპანია იყო, რომელიც მუშაობდა წიგნების, გაზეთების გამოცემასა და სხვა საგამომცემლო საქმიანობაზე.

გამომცემლობების უმრავლესობა მადრიდში და ბარსელონაში მდებარეობს და ინდუსტრია დღესდღეობით ამყობს მასშტაბური ღონისძიებებით. მათ შორის ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობა Liber, სხვადასხვა ლიტერატურული პრიზები, “*Día del libro*” 23 აპრილს, და მადრიდის წიგნის ღია ბაზრობა. მესამე ნაწილი მდებარეობს მადრიდში (33.7%) და თითქმის 22.8% კატალონიაში.

ესპანურმა გამომცემლობამ წლების მანძილზე აჩვენა მზარდი ტენდენცია და დიდი აქტივობამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს ზრდა 41%-ზე მეტია. ესპანური წიგნების გამოცემების მიმოხილვის პროგრესის მონაცემების მიხედვით, 2011 წელს მხოლოდ 116,851 წიგნი გამოიცა, წინა წელთან შედარებით 2.1%-ით ნაკლები.

ქალაქი რჩება მთავარ საშუალებად (83,8%), მაგრამ სხვა მედია იკავებს საფუძვლიან პროცენტს (6.1% 2001 წელს და 16.2% 2010-ში). ISBN-ის მიხედვით, 2010 წელს

დარეგისტრირდა 18.221 ელექტრონული წიგნი, რომელიც პალაღდის მერე გამოცემის ძირითადი სახეა, მისი წლიური ზრდა 45.6%-ია.

კატეგორიის თვალსაზრისით, გამოცემული წიგნების მეოთხედზე მეტი (29.2%) და დაბეჭდილი ასლების თითქმის ნახევარი (42.4%) ლიტერატურაა. 2010 წელს ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის წიგნებში ყველაზე დიდი წლიური ზრდაა (26.8%) და ფილოლოგიაში ყველაზე დიდი კლება (21.6%). საბავშვო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა 12.0%-ს ითვლის და შესაბამისად, ნიმუშები 3.8%-ს.

2011 წელს გამოცემული წიგნები ენების მიხედვით ასე იყოფა: 78.8% ესპანურად, 14.8% კატალონიურად, 2.3% ბასკურად და 2.4% გალურად. დარჩენილი 3.9% წიგნებისა გამოცემულია სხვა ენებზე, მეტწილად, ინგლისურად.

მადრიდში კომპანიების საგამომცემლო საქმიანობა ძირითადად მიმართულია სამ თემაზე: არასაუნივერსიტეტო ტექსტები, სოციალური /ჰუმანიტარული მეცნიერებები და საბავშვო წიგნები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტექნიკური და სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა შესაბამისი მასალები. სოციალური /ჰუმანიტარული მეცნიერებები 2004 წლიდან დიდ ზრდას აჩვენებს (77.3%) შემოსავალში და წარმოადგენს ესპანეთის შიდა ვაჭრობაში შემოსავლის 64.0%-ს.

ქვესექტორების გამოცემების საშუალო ტირაჟი, 2009-2010

ზოგადი	797	733	-8,0
ფილოსოფია, ფსიქოლოგია	1.452	1.089	-24,6
რელიგია, თეოლოგია	1.833	1.514	-21,1
სოციალური მეცნიერებები	1.019	797	-21,8
<i>ფუნდამენტური მეცნიერებები</i>	1.475	1.578	+7,0
გამოყენებითი მეცნიერებები	1.629	1.297	-20,4
ხელოვნება	1.375	1.093	-20,5
ფილოლოგია	2.452	2.150	-12,3
ლიტერატურა	2.515	1.657	-34,1
გეოგრაფია და ისტორია	1.808	1.753	-3,0
სულ	1.734	1.345	-22,4

საგნების მიხედვით შემოსავლების პროცენტები აჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში ლიტერატურა ბაზრის დაახლოებით 25%-ს, სახელმძღვანელოები კი 30%-ს იკავებს. შესაბამისი ზრდა იყო ზოგადი ინფორმაციის წიგნებში, სამეცნიერო/ტექნიკურ და საუნივერსიტეტო წიგნებსა და სახელმძღვანელოებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დიდმა გამომცემლობებმა უკანასკნელ წლებში სტაბილური და მზარდი შემოსავალი აჩვენეს, მაშინ როცა პატარა გამომცემლობების შემოსავლები მერყეობდა წლიდან წლამდე.

2011 წელს წიგნის სექტორმა მიიღო 2,772.34 მილიონი შიდა ვაჭრობაში, 4.1%-ით ნაკლები ვიდრე 2010 წელს იყო დარეგისტრირებული. კვლევამ განიხილა 859 კერძო საგამომცემლო კომპანია, რომელიც გილდიას ეკუთვნის. საერთო რიცხვიდან, 32 კომპანია იღებს ევროს ყოველწლიურად (63.5% საგამომცემლო კომპანიების სრული შემოსავლიდან). გარდა ამისა, 227 კომპანია (28.4% კერძო საგამომცემლო კომპანიებისა) მიეკუთვნება რამე სახის ბიზნეს ჯგუფს.

მოკლედ, ესპანეთის წიგნების შიდა ვაჭრობა შეიძლება შეჯამდეს შემდეგი რიცხვებით:

- 859 კერძო საგამომცემლო კომპანია, რომელიც გილდიას ეკუთვნის.
- 15,467 დასაქმებული;
- 70,520 გამოქვეყნებული წიგნი (მათ შორის ხელახალი გამოცემები);
- 357.56 მილიონი გამოქვეყნებული ასლი.
- 5070 ასლი თითო წიგნზე (საშუალოდ)
- 369,588 ხელმისაწვდომი აქტუალური წიგნი
- 250.86 მილიონი გაყიდული ასლი
- €3,123 მილიონი შემოსავალი შიდა ბაზარზე.

ელექტრონული წიგნების ინდუსტრია

2011 წელს რეგისტრირებული ელექტრონული გამოცემებმა ესპანეთში 17.843 წიგნს მიაღწია, საერთო ჯამში €72.60 მილიონით, 3%-ით მეტი 2010 წელთან შედარებით. 2012 წელს პირველი 9 თვის განმავლობაში ISBN-ის სააგენტომ უკვე დაარეგისტრირდა 15.255 ახალი წიგნი. ეს რიცხვი წარმოადგენს ამ პერიოდში ესპანეთში ISBN-ის სააგენტოს მიერ კლასიფიცირებული წიგნების 23%-ს და ასახავს ესპანური საგამომცემლო კომპანიების ძალისხმევას, რათა გააფართოონ წიგნების შეთავაზება ელექტრონულ ფორმატში.

LIBER წიგნის საერთაშორისო ბაზრობა ესპანეთში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ესპანური შეკრება, რომლის მიზანიც წიგნის ინდუსტრიის განვითარებაა, არის LIBER წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც ყოველწლიურად იმართება ესპანეთში, მადრიდში ან ბარსელონაში. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრის წერტილია გამომცემლებისათვის, წიგნის გამყიდველებისათვის, მწერლებისა და საერთაშორისო მყიდველებისათვის. ბაზრობის დროს პროფესიონალები, როგორც წესი, ანალიზებენ უკანასკნელ ინოვაციებსა და ტენდენციებს, რომლებსაც გავლენა აქვს ბიზნესზე, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს გადის. ამ მიზნით იმართება სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მთელი სერია ბაზრობის დღეების განმავლობაში.

2012 წელს LIBER წიგნის საერთაშორისო ბაზრობა ჩატარდა 3-დან 5 ოქტომბრამდე ბარსელონაში. დაესწრო 500 მონაწილე და 8000 ვიზიტორი მთელი მსოფლიოდან, მათ შორის მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა იყო პროფესიონალებისა ლათინური ამერიკიდან.

LIBER-ის საპატიო სტუმარი 2012 წელს პარაგვაი იყო, სადაც ესპანური წიგნების ექსპორტის ოდენობა მნიშვნელოვანი გახდა. ესპანეთი წიგნების მეორე მომმარაგებელია პარაგვაისთვის საერთო იმპორტის 18%-იანი წილით. პარაგვაიში იმპორტირებული წიგნების უმრავლესობა მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიებს: ზოგადი, რელიგია და ტექნიკურ-სამეცნიერო.

ISBN-ის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ესპანელმა გამომცემლობებმა დაარეგისტრირეს 67,543 წიგნი 2012 წლის იანვრიდან ყველა ფორმატში (ქაღალდზე, ელექტრონული და ა.შ.). ესპანეთის გამომცემელთა გილდიების ფედერაცია (FGEE) და საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტი (ICEX) ხელს უწყობენ ამ საერთაშორისო სავაჭრო მისიების ვიზიტს რათა კიდევ უფრო გაიზარდოს გამომცემლობის ექსპორტი ესპანეთში, რომელმაც 2011 წელს შეადგინა € 482, 44 მილიონი, წინა წელზე 5.38%-ით მეტი.

უკვე მეორე წელია, ბაზრობა ადგილს უთმობს ელექტრონულ გამოცემებს და კომპიუტერულ საგამომცემლო სერვისებს, LIBER DIGITAL, ახალი სექცია ჩამოყალიბებულია კომპანიებისათვის, რომელიც სპეციალიზდება ელექტრონულ მოწყობილობებში. შესამჩნევი იყო დიდი მხარდაჭერა პროფესიონალების მხრიდან, რომლებიც მსოფლიოში წიგნების ელექტრონულ ტენდენციებზე მუშაობენ. LIBER DIGITAL-ში მონაწილეობა მიიღო 25-მა საგამომცემლო საწარმოებმა, წარადგინეს რა ანგარიშები და გამართეს დისკუსია ელექტრონული ბაზრის და წიგნების ინტერნეტ გაყიდვის საკითხების შესახებ.

2013 წელს ესპანეთის უდიდეს საერთაშორისო შეხვედრას მადრიდი უმასპინძლებს 2-დან 4 ოქტომბრამდე, აღნიშნავს რა LIBER-ის 31-ე იუბილეს. წარმოადგენს რა ჩილეს საპატიო სტუმარ ქვეყნად, ბაზრობა გაამყარებს სავაჭრო და კულტურულ კავშირებს ლათინურ ამერიკაში ესპანური ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას ადგილთან.

ასევე, ელექტრონული გამოცემების შესამჩნევად გაზრდილი რაოდენობის, ბოლო წლებში 576% გამო, ბაზრობა ისევ დაუთმობს სივრცეს ამ ახალ ფორმატებს LIBERA DIGITAL-ის სახით.

ბოლო ბაზრობაზე 62 ქვეყნიდან 12000 ვიზიტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ LIBERA მთავარი ბიზნეს პლატფორმაა ესპანურენოვანი გამომცემლობის სექტორში და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო შეხვედრაა.

ექსპორტი	იმპორტი		ბალანსი
2006	557,05	240,23	316,81
2007	554,93	243,78	311,15
2008	545,98	247,98	298,00
2009	442,37	235,49	206,88
2010	457,79	224,58	233,21
2011	456,86	მონაცემები არ არის	

კრიზისის გავლენა წიგნის ბაზარზე

მიუხედავად ბოლო წლებში საგამომცემლო ინდუსტრიის სტაბილურობისა, ბოლო მონაცემების მიხედვით სიტუაცია ესპანური წიგნის ინდუსტრიაში იცვლება. ესპანეთის გამომცემელთა გილდიების ფედერაციის (FGEE) ბოლო წლიური ანგარიშის და სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტის თანახმად, ესპანური წიგნის ინდუსტრია სამომავლოდ პრობლემის წინაშე დადგება. მონაცემების მიხედვით, ვინაიდან სუბსტანდარტული კრიზისი დაიწყო 2008 წელს, ესპანეთის წიგნის ინდუსტრია 18%-ით შემცირდა და FGEE-ს პროგნოზი მიხედვით, 2012 წლის დეკემბერში ის შეიძლება კიდევ 10%-ით დაეცეს. უარყოფითი ზრდა გავლენას ახდენს წიგნებით ვაჭრობაზე, განსაკუთრებით, როგორც მხატვრულ ისე სამეცნიეროზე, მაშინ როცა სახელმძღვანელოებსა და საბავშვო წიგნებს შედარებით მყარი მდგომარეობა აქვთ. საერთო ჯამში 2011 წელს გაყიდული ასლების რაოდენობა 20.3%-ით დაეცა.

მაშინ როცა ექსპორტს (+5.38%) და ელექტრონულ გამოცემებს (+3%) დადებითი შედეგები ჰქონდათ, ისინი ერთად ვერ შეძლებენ დანაკარგის კომპენსაციას. 2009

წლიდან ელექტრონულად გამოცემულმა წიგნებმა 577%-იანი ზრდა ნახა, მაშინ როცა მათი ბრუნვა მხოლოდ 41 ერთეულით შეიცვალა, რაც მთლიანი ინდუსტრიის ბრუნვის მხოლოდ 2.8% წარმოადგენს. Annus horribilis -მა 70%-იანი ვარდნა მოუტანა მომგებიან სეგმენტებს: SMT და იურიდიული ელ. წიგნები.

ინდუსტრიის წყაროები შიშობენ, რომ ბევრი გამომცემელი - პატარა, საშუალო და დიდი - ბანკროტის საფრთხის წინაშე იქნება მესამე და მეოთხე კვარტალში. ამ საშინელ სცენარში ბევრს ლათინური ამერიკა მუდმივ ელდორადოდ ესახება. ესპანურ შვილობილს კონტინენტზე დომინანტური პოზიცია აქვს სახელმძღვანელოების სეგმენტში, სადაც ისინი ბაზრის 60%-ს აკონტროლებენ. კიდევ უფრო აგრესიულმა საექსპორტო პოლიტიკამ შესაძლოა აფეთქებამდე მიიყვანოს უკვე არსებული დამაბულობა ლათინურ ამერიკაში.

მთარგმნელობითი ბაზარი ესპანეთში

ესპანური მთარგმნელობითი ინდუსტრია მოიცავს 700-ზე მეტ მთარგმნელობით კომპანიას ესპანეთში. 2004 წლიდან მისი ბრუნვა 250 მილიონ ევროზე მეტია წლიური 6%-იანი ზრდით.

2012 წლის ესპანური წიგნის სექტორის კვლევის სტატისტიკის მიხედვით, 2011 წელს 10 წიგნიდან 2 თარგმნილი ლიტერატურაა. (სულ 24.623 წიგნი). უცხო ენაზე ნათარგმნი ესპანური წიგნების რაოდენობა 2011 წელს 48%-ით გაიზარდა.

თარგმანის ევოლუცია ესპანურ საგამომცემლო პროდუქციაში, 2001-2011		
წელი	გამოქვეყნებული წიგნი	თარგმნილი წიგნი
2001	67.012	17.030
2002	69.893	17.149
2003	77.950	20.124
2004	82.207	19.516
2005	84.335	20.618
2006	87.440	23.752
2007	96.770	23.955
2008	104.223	25.851
2009	110.205	25.223
2010	114.459	25.236
2011	116.851	24.623

თარგმანი უცხო ენის/ესპანურის მიხედვით 2010-2011						
გამოცემა	ISBN		% თარგმნილი წიგნი		% სულ	
	2010	2011	2010	2011	2010	2011
თარგმანები						
ესპანეთის ოფიციალურ ენებს შორის	3.007;	2.952	11,9	12,0	2,6	2,5
უცხო ენიდან ესპანურად	19.679	18.285	78,0	74,0	17,2	15,6
ესპანურიდან უცხო ენაზე	1.265	1.872	5,0	7,6	1,1	1,6

თარგმანის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაცია ქვეყანაში არის ACT (მთარგმნელობითი კომპანიების ესპანური ასოციაცია). 1990 წელს დაფუძნებული ACT ესპანური ბიზნეს ასოციაციაა და ასევე დამფუძნებელი წევრია მთარგმნელობითი კომპანიების ასოციაციების ევროპული კავშირისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1994 წელს სარდინიაში (იტალია).

მისი ძირითადი აქტივობები მოიცავს წევრების ხელშეწყობას, კონგრესების ორგანიზებას, ინფორმაციის გაცვლას როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო

მასშტაბით, ურთიერთობას დამოუკიდებელ თარჯიმნებთან და თარჯიმანთა ასოციაციებთან, ურთიერთობას ადმინისტრაციასთან, წევრებისა და მომხმარებლების დაცვას, პროფესიის მეტი აღიარების მოპოვებას და თარგმანის სფეროსთვის გამოსაყენებელი ხარისხის სტანდარტების შემუშავებას. ასოციაციამ, როგორც ესპანური სტანდარტიზაციის ასოციაციის (AENOR) და ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN) ნაწილმა, წამყვანი როლი შეასრულა მთარგმნელობითი მომსახურების ევროპული ხარისხის სტანდარტის EN-15038 შემუშავებაში.

2006 წელს ACT-მ (მთარგმნელობითი კომპანიების ესპანური ასოციაცია) გამოაქვეყნა ესპანეთში პროფესიული თარგმანის ინდუსტრიის ბაზრის პირველი კვლევა. კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს 248 გვერდს, 108 ინფორმაციულ ცხრილს და 106 გრაფიკს, ანალიზებს და ითვლის ესპანეთის მთარგმნელობით ბაზარს. ის ასევე აღწერს სიტუაციას მომწოდებლის სექტორში და შეისწავლის იმ მომხმარებლის საჭიროებებს და ქცევას, რომელიც იყენებს თარგმანს. კვლევა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მთარგმნელობითი კომპანიებისათვის, რომლებსაც სურთ გაიციონ საკუთარი კონკურენტული გარემო და მიიღონ მონაცემები იმ კომპანიების საჭიროებებზე, რომლებიც იყენებენ მთარგმნელობით მომსახურებას.

კვლევის მთავარი მიზანი გამომცემლობის და თარგმანის ინდუსტრიით დაინტერესებული კომპანიებისათვის გზამკვლევის შემუშავება იყო. კომპანიებისათვის დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად, მათ მიმართეს Spain-Base SL-ს, კომპანიას, რომელიც სპეციალიზირდება ინდუსტრიული და ბიზნეს ბაზრის ანალიზში. კვლევა ჩატარდა სტატისტიკისა და კვლევების კომპიუტერულ ცენტრთან თანამშრომლობით.

ACT-ს დეტალურმა კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიების 64% მცირე და საშუალო საწარმოებია, 20% დიდი მთარგმნელობითი კომპანიაა და 17% დამოუკიდებელი თარჯიმანია. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ნაწილი უჭირავს „ნაცრისფერ ნაწილს“, რომელიც შეუძლებელს ხდის განისაზღვროს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლისთვისაც თარგმანი მეორე პროფესიაა.

რაც შეეხება განაწილებას, ძირითადი ცენტრი ორია: მადრიდი, 36% მთარგმნელობითი კომპანიით და კატალონია 22%-ით. ამ ორ თემს მოსდევს ბასკეთი და ანდალუზია, ორივე 9%-ით, ვალენსია 5%-ით, კუნძულები 4%-ით, გალისია 2%-ით და სხვა თემები საერთო ჯამში 13%-ით. კომპანიების 64% ქირაობს მთარგმნელობით სააგენტოებს, 15% - დამოუკიდებელ თარჯიმნებს.

ბევრი თეორეტიკოსი აცხადებს, რომ ლიტერატურული ნაშრომის თარგმანი მომგებიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია მაღალი გაყიდვები, გამომდინარე უფლებების ყიდვის დამატებითი ხარჯიდან, მთარგმნელის გადასახადიდან, ლიტერატურული აგენტების, გამომცემლობების ხარჯებიდან და ა.შ. ესპანეთში თარგმანების გამოცემის თითქმის 50% ზოგადი და საბავშვო ლიტერატურაა და ბევრი მთარგმნელობითი საქმიანობა კონცენტრირებულია ლეონის და სალამანკას პროვინციებში.

ლიტერატურული თარგმანების პრაქტიკა ესპანეთში

„თარგმანების გამოცემა ევროპაში“ ანგარიში, რომელიც მომზადდა „ბუდაპეშტის ობსერვატორიის“ მიერ და დაფუძნებულია *Index Translationum* მონაცემთა ბაზის ანალიზზე, გვაძლევს სასარგებლო და დეტალურ ინფორმაციას მთარგმნელობით საქმიანობაზე ესპანეთში.

გამოკვლევის თანახმად, ესპანეთი უჩვეულოდ აქტიური გახდა ლიტერატურული თარგმანების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ქვეყნებთან შედარებით. 1990-2005 წლებში ინგლისურენოვანი ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანების საერთო რაოდენობა მხოლოდ საფრანგეთში უფრო უფრო მაღალი. თუმცა, გერმანული და ფრანგული ლიტერატურის თარგმანების რაოდენობა ყველაზე მაღალი ესპანეთში იყო (8450 თარგმანი ფრანგულიდან და 4420 თარგმანი გერმანულიდან). რაც შეეხება თარგმანებს რუსული და იტალიური ენებიდან, მხოლოდ საფრანგეთის ინდექსია მაღალი, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს მშპ-სა და მოსახლეობის რაოდენობით. ფაქტი, რომ ამ რაოდენობის ლიტერატურული თარგმანი შესრულდა ესპანეთში საკვლევ პერიოდში შეიძლება განპირობებული იყოს ფაქტით, რომ ევროპაში ყველაზე ხშირად თარგმნილი უმცირესობის ენა ესპანეთის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა, ამგვარად, ლიტერატურული ორიგინალები შეიძლება ითარგმნოს არა მხოლოდ ესპანურად, არამედ კატალონიურად, ეუსკერაზე (ან ბასკურზე) და გალურად (გაელიკურ ენაზე). თუმცა, ვინაიდან თარგმანი ესპანურად წარმოადგენს ლიტერატურული თარგმანების უმრავლესობას (84%), ესპანეთში სიტუაციის აღწერისას ეს თავი ფოკუსირდება თარგმანებზე, სადაც ესპანური სამიზნე ენაა. მეორე მიზეზი, თუ რატომ არის ამდენი თარგმნილი ტექსტი ესპანეთში არის ის, რომ ესპანური ლათინური ენაა და ძალიან ახლოსაა ფრანგულთან, იტალიურსა და პორტუგალიურთან, ამგვარად, თარგმანი უფრო მარტივია.

ლიტერატურულმა თარგმანებმა ესპანეთში სრული თარგმანის 62% დათვალა, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო. ამ სახის თარგმანებმა მინიმუმს 1991 წელს

მიაღწიეს (მხოლოდ 1823 თარგმნილი ნაწარმოები) და გაიზარდა 2003-2004 წლებში, როდესაც საერთო ჯამში ითარგმნა 9100 ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები. 16 წლის განმავლობაში, 1990-დან 2005-მდე ძირითადად იყო 8835 ორიგინალური ფრანგული ტექსტი თარგმნილი ესპანურად, ლიტერატურული თარგმანების 13% და 4584 გერმანული ტექსტი, 7%. ლიტერატურის ესპანურ ენაზე თარგმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყარო ენების მხრივ იყო: იტალიური (1937 ნაწარმოები, ან 2.9% ლიტერატურული თარგმანებისა ესპანურ ენაზე), კატალონიური (1733 ან 2.6%), რუსული (658 ან 1%) და პორტუგალიური (654 ასევე 1%).

რაც შეეხება კატალონიურად თარგმანებს, ანგარიში აჩვენებს, რომ საერთო რაოდენობა ლიტერატურული თარგმანებისა ამ პერიოდში (8006 თარგმნილი ნაწარმოები) საკმაოდ მაღალია. ერთი მიზეზი ამ ფაქტისა, თუ რატომ არის ამდენი თარგმანი კატალონიურ ენაზე არის სავარაუდოდ ის, რომ კატალონიურად მოსახლეობის დიდი ნაწილი საუბრობს. მაგალითად, კატალონიის უნივერსიტეტების უმრავლესობაში საგნები ისწავლება კატალონიურად და არა ესპანურად. ის ასევე არის ბალეარის კუნძულების, ვალენსიის თემისა, ქ. ალგეროს და სარდინიის კუნძულის (იტალია) ერთ-ერთი ოფიციალური ენა. ამ ენაზე საუბრობენ რიგ ესპანურ და გრანგულ რეგიონებშიც. საერთო ჯამში, 11 მილიონ ადამიანზე მსოფლიოში მეტს ესმის კატალონიური.

კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ ესპანეთში კატალონიური მემკვიდრეობის შენარჩუნება დიდ სუბსიდირებას იღებს. ინსტიტუტები, როგორცაა Insitut Ramon Llull აფინანსებს ლიტერატურულ თარგმანებს და პედაგოგიურ კურსებს, მთარგმნელთა სტაჟირების პროგრამებს და გრანტებს კატალონიურის სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

ესპანეთის მთარგმნელობითი ბაზრის ბოლო კვლევების მიხედვით, მნიშვნელოვანი სხვაობაა თემებს შორის თარგმნილი ტექსტის ენის თვალსაზრისით. ნაშრომის მიხედვით ესპანეთში თარგმანების 50% შესრულებულია ინგლისურიდან, მაშინ როცა კასტილია და ლეონში ეს ენა 20%-ს არ აღწევს. ამ თემში გერმანულია დომინანტური ენა 35-ზე მეტი პროცენტული მაჩვენებლით, მაშინ როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 9%-ია. ფრანგულს პროცენტული სხვაობა ნაკლები აქვს: 17.5% ესპანეთში და 19% კასტილია და ლეონში. ბურგოსში ყველაზე ხშირად თარგმნილი ენაა ფრანგული, რომელსაც მოსდევს იტალიური; ვალიადოლიდში დომინანტურია ინგლისური, რომელსაც მოსდევს ფრანგული.

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

რაც შეეხება თარგმანებს კატალონიაში, ინგლისური ყველაზე ხშირად ნათარგმნი ენაა, მისი წილი 39.7%-ია, მას ასევე დიდი წილით მოსდევს ესპანური და ფრანგული 16.1% და 16%. გერმანული ასევე მნიშვნელოვანი წყაროა, 11% ლიტერატურული თარგმანებისა კატალონიურად, რომელსაც მოსდევს იტალიური (5.3%), პორტუგალიური (1.7%) და რუსული (0.9%).

რაც შეეხება ბასკურ ენას, 16 წლის მანძილზე 1990-დან 2005-მდე საერთო ჯამში 1814 ლიტერატურული თარგმანი შესრულდა ეუსკერაზე ესპანეთში.

რაც შეეხება ბოლო ნათარგმნი მასალების ანალიზს, ჩვენ შეგვიძლია კვლავ დავინახოთ სხვაობა. ესპანეთში გამოქვეყნებული თარგმანების თითქმის 50% მიეკუთვნება ზოგად ან მოზარდთა ლიტერატურას. კასტილია და ლეონში რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამიტომ გამოცემების დიდი ნაწილი რელიგიურ თემაზეა, 30%-ით, რომელსაც მოსდევს ლიტერატურა 26%, გეოგრაფია და ისტორია 14%-ით და გამოყენებითი მეცნიერებები 13%-ით, განსაკუთრებით მედიცინა, სოფლის მეურნეობა და ინჟინერია.

თითოეული თემის დომინანტური ენების გათვალისწინებით, ჩანს, რომ გერმანული და იტალიური ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგიაში; ლიტერატურაში - გერმანული და ინგლისური, გეოგრაფიასა და ისტორიაში - ინგლისური და გამოყენებითი მეცნიერებებში - გერმანული და ინგლისური.

2010 წლის სექტემბერში *ACE Traductores-მა* წარადგინა „ლიტერატურული თარგმანების მეორე თეთრი წიგნი ესპანეთში“, პროექტი, რომელზეც მუშაობდნენ ესპანური ასოციაციები (ASETRAD, APTIC, EIZIE, AGPTI, ACEC და UNICO), კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი წიგნის ზოგადი დირექტორატის და საზოგადოება CEDRO-ს მხარდაჭერით.

კვლევა, რომელიც ეფუძნება ვრცელ კითხვარს, ჩატარდა 600-ზე მეტ მთარგმნელს შორის, რომელსაც ერთი წიგნი მაინც უთარგმნია. კვლევა განხორციელდა სოციოლოგ ხოსე მიგელ მარინასის მიერ. შედეგი არის არსებული სიტუაციის დეტალური ანალიზი, რომელიც გვაჩვენებს, რომ კვალიფიცირებული მთარგმნელების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მთარგმნელობითი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემოღების მიერ თანამედროვე ენისა და მთარგმნელების და სხვა ინსტიტუტების მიერ.

ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ 10 პროფესიონალი მთარგმნელიდან თითქმის 3-ს აქვს ხარისხი თარგმანში და 2-ს თარჯიმნობაში. ფაქტორები, რომლებმაც განსაზღვრა ზრდა, არის თარგმნის ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა

ხელშემწყობი პროგრამა და კონკურენციის მიზნით გაზრდილი ყურადღება სპეციალიზაციაზე. მთარგმნელების უმეტესობა ესპანეთში ეროვნებით ესპანელია, თუმცა 14.2% სხვა ქვეყნიდანაა, ძირითადად არგენტინიდან. მთარგმნელობითი მომსახურების სექტორის წლიური ბრუნვა 247 მილიონი ევროა, თუმცა შეინიშნება პროცენტული კლება ბოლო წლებში ესპანეთში წარმოშობილი კრიზისის გამო.

რაც შეეხება გადახდის ფორმებს, მთარგმნელთა უმრავლესობა კომპენსაციას იღებს „გვერდისთვის“: 84% დასაწყისში და 96% დასასრულს. მეორე მხრივ, 6% იღებს ანაზღაურებას „სიტყვაში“ და 8% იყენებს სხვა ფორმას. CNL-მიხედვით საშუალო გადასახადი 1500 სიმბოლოიანი გვერდისათვის (გამოტოვებების ჩათვლით) 10.41 ევროა, CEATL-ის მიხედვით კი 11.25 ევრო. თუმცა 35 წელს ქვემოთ პირების საშუალო ანაზღაურება უფრო დაბალია.

თეთრი წიგნის დასკვნა ხაზს უსვამს ლიტერატურული თარგმანის სუსტ და ძლიერ მხარეებს, მის რისკებს და შესაძლებლობებს. სუსტ მხარეებს შორის ხაზი უნდა გაესვას სექტორის ფრაგმენტაციას, ასოციაციებში წევრობის შეზღუდულ დონეს, ბევრ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მთარგმნელს, როცა პროფესიონალთა რაოდენობა, ვინც ექსკლუზიურად თარგმანს უძღვნის თავს, ძალიან მცირეა, გადახდასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას, უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და საჩივრების წარუმატებლობა. უკანასკნელი კვლევა წარადგინა „ლიტერატურული თარგმანების მეორე თეთრი წიგნი ესპანეთში“ აჩვენებს, რომ ლიტერატურული მთარგმნელების სიტუაცია რიგ შემთხვევაში არ გაუმჯობესებულა, ხანდახან ის გაუარესებულაც კია მიუხედავად წიგნის ბაზრის სწრაფი ზრდისა. მიუხედავად მთარგმნელობითი ბაზრის პირობების ბოლო პერიოდში გაუმჯობესებისა, ლიტერატურის ესპანელი მთარგმნელები კვლავ მუშაობენ საექვო პირობებში, რაც მათ პროფესიულ საქმიანობას ართულებს.

თარგმნის შესწავლის ცენტრები

მადრიდის კომპულტენსის უნივერსიტეტის თანამედროვე ენისა და მთარგმნელების ინსტიტუტი

მთარგმნელების მომზადების პირველი ინსტიტუტი იყო მადრიდის კომპულტენსის უნივერსიტეტის თანამედროვე ენისა და მთარგმნელების ინსტიტუტი, რომელიც 1974 წელს პროფესორ ემილიო ლორენცო და ვალენტინ გარსია იებრას ინიციატივით დაარსდა. ინსტიტუტი სთავაზობს სპეციალურად შექმნილ კურსებს პროფესიონალებს სხვადასხვა საუნივერსიტეტო განათლებითა და სოლიდური ლინგვისტური უნარებით დამატებითი განათლების მისაღებად. ეს სამაგისტრო პროგრამა აძლევს პროფესიონალებს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ

კომპეტენციებს, რომ განაგრძონ კარიერა ინგლისურიდან, ფრანგულიდან, გერმანულიდან, იტალიურიდან, ჩინურიდან და არაბულიდან ესპანურ ენაზე თარგმნის სფეროში. სამაგისტრო კურსი არ სთავაზობს კონკრეტულ სპეციალობას, მაგრამ მიზნად ისახავს, რომ დააკმაყოფილოს მომავალი მთარგმნელების საჭიროებები ზოგადად ლინგვისტურ, კულტურულ და ტექნიკურ განათლებაში.

ამ პროგრამის ინსტიტუტი იღწვის დააკმაყოფილოს ესპანეთის შრომის ბაზრის მრავალფეროვნება თარგმანის სფეროში სხვა ქვეყნებიდან პროფესიონალების ჩამოსვლის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ. ამისათვის, სამაგისტრო შეიცავს სემინარების სერიას თარგმანზე კონკრეტული მიზნებით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური შეხვედრები თარგმანის პრობლემებზე. ღონისძიებამ, რომელმაც გასულ ივნისს მეცამეტე იუბილე აღნიშნა, ამ ინიციატივას შეუერთა ბარსელონისა და გრენადის უნივერსიტეტების საუნივერსიტეტო სკოლების მთარგმნელები და თარჯიმნები.

1992 წლიდან, 11/1983 კანონის ძალაში შესვლასთან ერთად, უნივერსიტეტები სთავაზობენ სუბვენციურ პროგრამებს თარგმანში ხარისხის მოსაპოვებლად. დღესდღეობით ასეთი ცენტრების რაოდენობა ესპანეთში 22-ია.

სანტანდერის სემინარი გამომცემლობაზე

ყოველწლიურად ესპანეთის გამომცემელთა გილდიების ფედერაცია (Federación de Gremios de Editores de España) მენენდუზ პელაიოს საერთაშორისო უნივერსიტეტთან ერთად აწყობს სემინარებს გამომცემლობისა და მთარგმნელობითი ბაზრის შესახებ, რათა გაანალიზდეს ბიზნესი მთარგმნელობითი ბაზრის პროფესიული და აკადემიური თვალსაზრისით.

სემინარი, რომელიც ფინანსდება კულტურის სამინისტროსა და რეპროგრაფიული უფლებების ესპანური ცენტრის მიერ, გახდა სტანდარტული აკადემიური ზაფხულის ღონისძიება სანტანდერში. დებატები და მრგვალი მაგიდა სამი დღის მანძილზე თავს უყრის წიგნის საგამომცემლო ინდუსტრიის როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ჯგუფებს, მათ შორის, გამომცემლობებს, დისტრიბუტორებს და წიგნის მაღაზიებს. დებატებს ასევე ესწრებიან უნივერსიტეტის სტუდენტები და კულტურაში, განათლებაში და ეკონომიკაში ჩართული პროფესიონალები.

მთარგმნელობითი ასოციაციები

დღერდღეობით ესპანეთში მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციაა რომელიც 3000-ზე მეტ მთარგმნელს წარმოადგენს. მათ შორის შეგვიძლია აღვნიშნოთ:

- **APETI** - 1954 წელს დაარსებული ესპანეთის მთარგმნელებისა და თარჯიმნების პროფესიული ასოციაცია (Asociación Profesional Española de Traductores e Intérpretes) უძველესი ასოციაციაა ესპანეთის მთარგმნელობით ბაზარზე. მადრიდში დაფუძნებულ ამ ინსტიტუტს ნახევარ საუკუნეზე მეტი გამოცდილება აქვს პროფესიონალური თარგმნის მაღალი ინტელექტუალური და ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობასა და პროფესიონალების აკრედიტაციაში. გარდა ფაქტისა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია, ეს მთარგმნელთა ასოციაცია ფარავს ოთხ მთავარ სფეროს, რომლებდაც თარგმანი არის დაყოფილი: ლიტერატურული თარგმანი, ტექნიკური თარგმანი, ზეპირი თარგმანი და დამოწმებული თარგმანი.

APETI-ს მისია არის მთარგმნელებისა და თარჯიმნების გაერთიანება; პროფესიაში სოლიდარობის ხელშეწყობა; დაცვა, აღდგენა მათი, როგორც ინტელექტუალური სამუშაოს ავტორების, მორალური და მატერიალური უფლებისა.

პროფესიაში ერთ-ერთი არსებული სიტუაცია, რომელიც მთარგმნელთა ასოციაციის მოსაზრებით მოსაგვარებელია, არის დამოუკიდებელი თარგმანი. APETI ხელს უწყობს, ქმნის და ავითარებს გზებს იმ მთარგმნელებისა და თარჯიმნებისათვის, რომლებიც განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, რომ იმუშაონ დამოუკიდებლად და სრულად განავითარონ საკუთარი კარიერა. ნებისმიერს აქვს უფლება ითხოვოს APETI-ს წევრობა, მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ქვეყნისა. წევრებმა განუხრელად უნდა დაიცვან მაღალი ინტელექტუალური და ეთიკური სტანდარტები განსაზღვრული APETI-ს ეთიკის კოდექსით. www.apeti.org.es.

- **ACE Traductores**, ჩამოყალიბებული 1983 წელს წიგნების მთარგმნელების ინტერესების, კანონიერი უფლებების, საავტორო უფლებებისა და სხვა ინტერესების დაცვის მიზნით, ასევე ყველა საქმიანობის და ინიციატივის წასახალისებლად რომელიც მთარგმნელთა სოციალური და პროფესიული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობდა ხელს. როგორც ერთეული, რომელიც ერთად უყრის თავს წიგნების მთარგმნელებს, ACE Traductores განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ავტორების სტატუსს და მათ სხვადასხვა ფორმით ასოცირებას, ფარავს რა ლიტერატურულ თარგმანს მისი ტრადიციული გაგებით - მხატვრული, დრამა, პოეზია, ისევე როგორც სამეცნიერო, ტექნიკური და ინფორმაციული ხასიათის მქონე ნაწარმოებების თარგმანს.

წიგნის ნებისმიერი მთარგმნელი შეიძლება გახდეს ACE Traductores-ს წევრი, მიუხედავად ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, თუკი ისინი თარგმნიან კასტილიური, კატალონიური, ბასკური და გალური ენებიდან ან პირიქით. ის ასევე მონაწილეობს რიგ მთარგმნელობით ჯილდოს გადაცემაში, როგორცაა თარგმანის ეროვნული ჯილდო, ესტერ ბენიტესის ჯილდო თარგმანში და სტენდალის ჯილდო. დღერდღეობით თითქმის 600 წევრი ჰყავს (www.acett.org).

- **ASETRAD** - (Asociación Española de Traductores, Correctores e Intérpretes) - არის მთარგმნელების, რედაქტორების და თარჯიმნების ესპანური ასოციაცია, დაახლოებით 800 წევრით. ჩამოყალიბდა 2003 წელს ამ პროფესიების აღიარების ხელშესაწყობად და პროფესიის მატარებლების ინტერესების დასაცავად. ASETRAD მრავალრიცხოვან საქმიანობებს შორის დაეხმარა ჩამოყალიბებულიყო პროფესიონალური თემი ესპანური ენის სერვისის სექტორში მთარგმნელების ცნობადობის ხელშეწყობის და წევრებს შორის სპეციალიზაციის გზით, ეთიკური და პროფესიონალური საქმიანობა, თანამშრომლობა სხვა ასოციაციებთან და საერთაშორისო ქსელთან, რომლის მაგალითიცაა ასოციაციის აქტიური მონაწილეობა მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციაში. (www.asetrad.org).

სტიპენდიები და სუბსიდიები

ტარაზონას მთარგმნელთა სახლი (Casa del Traductor de Tarazona), დაარსდა 1988 წელს ფრანცისკო ურიზის მიერ და მიძღვნილი იყო ლიტერატურული თარგმანის განვითარებისათვის. ეს არის მსოფლიოს ლიტერატურული მთარგმნელების, რომლებიც ესპანეთის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე მუშაობენ, შემოქმედებითი საცხოვრებელი ცენტრი. იღებს რა დაფინანსებას კულტურის სამინისტროდან, საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ევროკომისიისა და ტარაზონას (სარაგოსა) მუნიციპალიტეტიდან, ის წარმოადგენს უნიკალურ ინსტიტუტს ქვეყანაში, რომელიც პასუხისმგებელია ლიტერატურული მთარგმნელების რეზიდენციის ორგანიზებაზე.

ჩარიცხვის პირობების თანახმად, პირი უნდა იყოს ლიტერატურული მთარგმნელი, რომელსაც სულ მცირე ორი თარგმანი აქვს გაკეთებული მხატვრულ, პოეზიის, თეატრალურ ან ესეების სფეროში, რომელიც გამოქვეყნდა ან გამოქვეყნების პროცესშია; მუშაობს კონტრაქტით გამომცემელთან ან წინასაკონტრაქტო პერიოდშია პროექტისათვის, რომლისთვისაც მიმდინარეობს გრანტის ძიება. <http://www.casadeltraductor.com/>. მსგავსი ევროპული სახლები წარმოდგენილია შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.re-cit.eu/>

ევროკავშირის კულტურის პროგრამა 2007-2013 ლიტერატურული მთარგმნელების მხარდაჭერის პროექტია. ევროკავშირის მხარდაჭერა მიზნად ისახავს ევროპელებს შორის ლიტერატურისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ ცოდნის გაზრდას ქვეყნებს შორის ლიტერატურული ნაწარმოებების ცირკულაციის საშუალებით. საგამომცემლო სახლებს აქვთ საშუალება მოიპოვონ გრანტი თარგმანისა და გამოცემისათვის მხატვრულ ნაწარმოებზე რომელიმე ევროპული ენიდან სხვა ევროპულ ენაზე თარგმნისათვის. ხელმისაწვდომია თანხა 2000 ევროდან 60 000 ევრომდე.

ესპანეთის კულტურის სამინისტროს სუბსიდიები თარგმანისათვის

ესპანეთში არსებობს გამომცემლობის დახმარების სახელმწიფო სისტემა, რომელიც იმართება კულტურის სამინისტროს წიგნების, არქივების და ბიბლიოთეკების გენერალური მიმართულების მიერ, რომელიც გასცემს გრანტებს ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაწარმოებების ესპანეთის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე თარგმანის დასაფინანსებლად და გამოსაცემად; ესპანური ნაწარმოებების კასტილიურ ან ესპანეთში სხვა ოფიციალურ ენაზე გამოცემის წასახალისებლად, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს საჯარო ბიბლიოთეკებში; გამომცემლობების საერთაშორისო ბაზრობებზე დასწრების დასაფინანსებლად; გავრცელების ინსტრუმენტების შესაქმნელად (საინფორმაციო ბიულეტენები ახალი წიგნებით, საინფორმაციო ფურცლები, ვებგვერდები); კულტურული ღონისძიებების ორგანიზება ესპანური წიგნების საზღვარგარეთ პოპულარზაციისა და გავრცელებისათვის.

სუბსიდიის ბენეფიციარები უნდა იყვნენ უცხოელი ან ესპანელი გამომცემლობები. გასული 7 წლის მანძილზე კულტურის სამინისტრომ გრანტის სახით გასცა 372,153.3 ევრო 222 პროექტისათვის გამომცემლობების მხარდასაჭერად.

პროცენტულად ყველაზე მაღალი დაფინანსება მიიღო თარგმანებმა კატალონიურ ენაზე სხვა ენებიდან (41.7% მთლიანი დახმარებიდან), რომელსაც მოსდევს კასტილიური (30.9%), გალური (14.5%) და ბასკური (12.8%).

ესპანეთის კულტურის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული კვლევის „სარედაქციო თარგმანი ესპანეთში“ მონაცემების თანახმად

http://www.mcu.es/libro/docs/MC/CD/TRADUCCION_2010.pdf 2010 წელს სამინისტრომ 2.800 ევროთი დააფინანსა ერთი მთარგმნელობითი სამუშაო ესპანურიდან ქართულ ენაზე.

ლიტერატურული აგენტები

Agencia Literaria Transmit რომლის სათაო ოფისი ბარსელონაში მდებარეობს არის ერთადერთი ლიტერატურული სააგენტო ესპანეთში და პორტუგალიაში, რომელიც სპეციალიზდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურაზე და წარმოადგენს ავტორებს და გამომცემლებს როგორც ესპანეთსა და პორტუგალიაში, ისე ესპანელ ავტორებს მსოფლიოში.

თარგმანების გამომცემლობაზე მომუშავე სარედაქციო კომპანიები

Index Translatorium-ის მიერ წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, ესპანეთში 10 მნიშვნელოვანი რედაქციაა, რომელიც თარგმანების გამოცემაზეა ორიენტირებული. მათ შორის:

1. **Harlequin.** კანადაში 1949 წელს დაარსებული კომპანია აქვეყნებს დაახლოებით 120 ახალ წიგნს 29 სხვადასხვა ენაზე 6 კონტინენტის 107 საერთაშორისო ბაზარზე ყოველ თვე.
1. **Círculo de lectores.** დაარსდა 1962 წელს, წარმოადგენს საგამომცემლო **Group Planeta**-ს ნაწილს და ჩამოაყალიბა კითხვის ყველაზე დიდი სოციალური ქსელი ესპანეთში. 1989 წლიდან ეს იყო მკითხველთა კლუბი კატალონიაში და დღესდღეობით ის 50,000-ზე მეტი წევრით ამყოფს. **Círculo de Lectores, S.A. / Travessera de Gràcia, 47-49, 08021** ბარსელონა. www.circulo.es
2. **Plaza&Janes,** ერთერთი ყველაზე ცნობილი სახელი ესპანურენოვანი წიგნების საგამომცემლო სამყაროში. 1959 წელს ჩამოაყალიბებულ კომპანიას ჰქონდა პრვილეგირებული პოზიცია ესპანეთში და ლათინურ ამერიკაში გაიმყარა პოზიცია. **Plaza & Janés's**-ს ავტორთა სია შეიცავს საერთაშორისოდ ცნობილ სახელებს, დაწყებული ისაბელ ალენდედან ესპანურენოვანი მხატვრული ლიტერატურით, უდიდეს „ბრენდ-სახელებამდე“, როგორცაა სტივენ კინგი, ჯონ ლე კარე და ფრედერიკ ფორსაიტი. ქალთა მხატვრული ხაზი მოიცავს ბესტსელერ ავტორებს დანიელ სტილს და მარიან კაიეს. გარდა ცნობილი მწერლების ნაშრომების გამოქვეყნებისა, **Plaza & Janés** დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ახალი ტალანტების აღმოჩენას და ხელშეწყობას, რომლების დიდი მწერლები გახდებიან მომავალში.
3. **Alianza Editorial** დაფუძნებული 1966 წელს ფლობს სხვადასხვა თემატიკისა და ფორმატის წიგნების სრულ კატალოგს. კომპანია აქვეყნებს წიგნებს მკითხველში, ისევე როგორც სტუდენტებსა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებში მაღალხარისხიანი ლიტერატურისადმი, პოპულარული სამეცნიერო წიგნებისა და ესეებისადმი ზოგადი ინტერესის გასაზრდელად. მისი კრებული *El Libro de Bolsillo* ესპანეთში ყველაზე რესპექტაბელურია და მოიცავს *Bibliotecas de Autor*, რომელშიც შედის მთავარი ესპანელი და ესპანურენოვანი ავტორები, როგორცაა გარსია ლორკა, პერეს გალდოსი და კარპენტიერი, სხვა ცნობილ უცხოელ ავტორებსა და პროფესიონალებთან ერთად. **Alianza** ასევე აქვეყნებს წიგნებს ბავშვებისა და

- მოზარდებისათვის, ესეებს და მეცნიერულ ნაშრომებს როგორც აკადემიკოსებისათვის, ისე მოყვარულებისათვის. www.alianzaeditorial.es
4. **Ediciones B** ბარსელონაში 1986 წელს დაფუძნებული კომპანია Grupo Zeta-ს საგამომცემლო ნაწილს წარმოადგენს. ის ყველა ასაკის ფართო აუდიტორიას იზიდავს კატალოგის ნაირსახეობისა და შესამჩნევად კომერციული ხასიათის წყალობით. Ediciones B, Vergara და Zeta Bolsillo გრიფით გამოცემული წიგნები მის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს. <http://www.edicionesb.es/catalogo/categoria.php?id=5&inicio=24> *Ediciones B*-ს ერთ-ერთი ყველაზე სიმბოლური საგამომცემლო კოლექცია აქვს ბოლო ათწლეულების მანძილზე და ეს ნაწარმოებები დღეს ესპანეთის კულტურულ მემკვიდრეობას ქმნიან: *Mortadelo* და *Filemón*. ისინი ასევე სთავაზობენ საუკეთესო წიგნებს გართობისათვის.
 5. **Editorial Planeta** დაფუძნებულია 61 წლის წინ და ჯგუფი ინარცუნებს ლიდერის პოზიციას ესპანეთის საგამომცემლო ბაზარზე და გავლენას მთლიან ესპანურენოვან სამყაროზე. ყოველწლიურად ის გასცემს Planeta Prize-ს (პრიზი) ესპანურ ჯილდოებს შორის ყველზე მნიშვნელოვანს, სხვა, ლიტერატურული მნიშვნელობის მქონე პრიზებთან ერთად. Planeta Prize-ის 57-ე დაჯილდოებაზე გამარჯვებული მწერალი იყო ანხელოს კასო რომანისთვის *Contra el viento* და მეორე ადგილი დაიკავა ემილიო კალდერონმა რომანისთვის *La bailarina y el inglés*. <http://www.planeta.es/es/ES/Default.htm>
 6. **Bruguera** იყო ესპანური საგამომცემლო სახლი, დაფუძნებული ბარსელონაში, რომელიც ძირითადად პოპულარული ლიტერატურის და კომიქსების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. ის შეიქმნა 1910 წელს, როგორც *El Gato Negro*, დასახელება შეიცვალა 1940 წელს. 1986 წელს ის დაიშალა; 2006 წელს ის დროებით აღდგა, როგორც *Ediciones B Grupo Z*-ს ნაწილი, მაგრამ დღეს საგამომცემლო და სარედაქციო საქმიანობას მხოლოდ Bruguera Mexicana S.A აგრძელებს - ძირითადად დასავლეთში, მექსიკა, ლათინური ამერიკა და შეერთებული შტატები. http://www.edicionesb.es/catalogo/coleccion/bruguera_17.html
 7. **Alfaguara** ესპანურენოვანი საგამომცემლო სახლია, რომელიც ემსახურება ლათინური ამერიკის, ესპანეთის და შეერთებული შტატების ბაზარს. ის გასცემს Premio Alfaguara de Novela-ს (ალფაგუარას პრიზს რომანისათვის), პრესტიჟულ ესპანურენოვანი ლიტერატურულ ჯილდოს. პრიზი, 1998 წლიდან, გადაეცემა გამოუცემელ მხატვრულ ნაწარმოებს ესპანურ ენაზე. <http://www.alfaguara.com/es/>
 8. **RBA Holding Editorial** არის ესპანეთში ჟურნალების მთავარი გამომცემელი. *RBA Revistas* გამოსცემს ჟურნალებს, მათ შორის National Geographic-ს, *RBA Coleccionables* – საკოლექციო და *RBA Libros* სავაჭრო გამომცემელია მხატვრული, დეტექტიური, სამეცნიერო, თვითმასწავლებლების და საბავშვო წიგნებისა.

კომპანია ასევე ჩართულია წიგნებისა და აუდიო პროდუქციის გამოცემის ბიზნესში. ჟურნალების საგამომცემლო ბიზნესში კომპანია მუშაობს RBA Revistas (RBA Edipresse SA) ფილიალით ესპანეთში. ის ჩამოყალიბდა როგორც ერთობლივი საწარმო RBA Holding და Edipresse Hymosa-ს შორის, მაგრამ ახლა ოპერირებს როგორც RBA Holding Editorial SA-ს მფლობელობაში მყოფი ფილიალი. კომპანია აქვეყნებს 40ზე მეტ ჟურნალს 14 მილიონზე მეტი მკითხველისათვის. www.rba.es

1. **Ediciones Martínez Roca** 40 წლის დაარსდა ესპანეთში, ბარსელონაში. დღეს ის მომავალზე ორიენტირებული საგამომცემლო სახლია ვრცელი მხატვრული და სამეცნიერო კატალოგით. მხატვრული ჟანრის ფარგლებში მისი ცნობილი ისტორიული რომანის კოლექცია მოიცავს ჯილდოს “*The Premio de Novela Histórica Alfonso X El Sabio*”. <http://www.planetadelibros.com/editorial-ediciones-martinez-roca-11.html>

II. საგამომცემლო ბაზარი საქართველოში და ქართულ-ესპანური საგამომცემლო საქმიანობა და განვითარება

ქართული დიასპორა საზღვარგარეთ

ჩვენი ისტორიის მანძილზე ქართველების დიდი მიგრაციის პრეცედენტი არ ყოფილა. თუმცა, ქართველები ყოველთვის იყვნენ ევროპის, შუა-აღმოსავლეთ ან აზიის სხვადასხვა ნაწილში დიდი ხნის მანძილზე.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, შავი მთა სირიაში, სინაის მთა ეგვიპტეში, ოლიმპის და ათონის მთები საბერძნეთში და პეტრიწონ-ბოჩკოვოს მონასტერი ბულგარეთში იყო ქართველებისათვის უმნიშვნელოვანესი კულტურული და სულიერი ცენტრები სადაც მრავალი ხელნაწერი და მთარგმნელობითი სამუშაო შესრულდა.

მე-13 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ქალი, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობდა იყო ქართველი მეფის ასული, გურჯი ხათუნი (სპარსულად „ქართველი ქალი“). ის ქართველი დედოფლის, რუსუდანის ქალიშვილი იყო და ქეიხუსვრე II-ს, რუმის სელჩუკ სულთანის საყვარელი ცოლი. 1246 წელს მისი სიკვდილის შემდეგ, ხათუნი დაქორწინდა ანატოლიელ კაცზე, მუინ ალ-დინ სულეიმან ფერვანამ. გურჯი ხათუნი ცნობილია მეცნიერების და ხელოვნების პატრონაჟისათვის და, განსაკუთრებით, ცნობილ სუფისტ პოეტთან, ჯალალ ედინ რუმისთან მეგობრობისათვის და კონიაში პოეტის სამარხის მშენებლობის დაფინანსებისათვის. გურჯი ხათუნის ცხოვრება აღწერილია თანამედროვე ქართველი მწერლის, დავით ტურაშვილის მიერ მის ლიტერატურულ ნაწარმოებში „გურჯი ხათუნი“.

ასევე მნიშვნელოვანია ქართველების არსებობა ერაყში, რადგან ოსმალეთის მამლუქთა მმართველი ელიტა მე-18 საუკუნეში ძირითადად საქართველოდან წასული ოფიცრებისგან შედგებოდა. ესენი ძირითადად იყვნენ ქართველები,

რომლებიც მონობიდან გაათავისუფლეს, ისლამზე მოაქციეს, სპეციალურ სკოლაში გაწვრთნეს და შედეგ სამხედრო და ადმინისტრაციული დავალება მისცეს.

XIX-XX საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან და ევროპასთან გაიზარდა. ბევრმა ქართველმა ისწავლა და იმუშავა საზღვარგარეთ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნება, რომელის მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა გერმანიაში და დიდი წვლილი შეიტანა ორთოდოქსული რწმენის, ქართული კულტურისა და ლიტერატურის გავრცელებაში არის არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. მის სახელთან არის დაკავშირებული რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი გერმანულ ენაზე, ისევე როგორც პედაგოგიური საქმიანობა საზღვარგარეთ ინსტიტუტებში და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება. კიდევ ერთი ცნობილი დიდგვაროვანი ქართული სამეფო ოჯახიდან ნიკო ბაგრატიონია (ნიკო ბური), რომელიც მოხალისედ ოფიცრად იბრძოდა ბურების არმიაში ბურების მეორე ომში. წმ. ელენეს კუნძულზე მრავალი წლის მანძილზე დევნის შემდეგ, ის საქართველოში დაბრუნდა, სადაც დაწერა მემუარები „ბურებთან“ სამხრეთ აფრიკაში გამოცდილების შესახებ, რომელიც თბილისში 1921 წელს გამოქვეყნდა.

ქართული დიასპორა ესპანეთში

ესპანეთმა, როგორც ქართული დიასპორის კულტურულმა ცენტრმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. რაც შეეხება ესპანეთისა და საქართველოს ურთიერთობას, ის რამდენიმე საუკუნოვან ისტორიას მოითვლის, რომელიც დოკუმენტურად არის დადასტურებული ხელნაწერი წყაროებით (დაცული ესპანეთის სხვადასხვა არქივში) და რომელიც აღწერს აქტიურ მიმოწერას და ურთიერთობას ქართველ მეფეებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული მასალა დეტალურად არის მოცემული წიგნში *Fuentes para la Historia de Georgia en bibliotecas y archivos españoles (XV-XVII),* (ესპანური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის ბიბლიოთეკებსა და არქივებში (XV-XVII საუკუნეები)) რომელიც წარმოადგენს ესპანელი და ქართველი მეცნიერების, ლუის გილ ფერნანდესის და ილია ტაბაღუას ერთობლივ კვლევას და დაიბეჭდა მადრიდის კომპულტენსის უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქართული ხელნაწერი დოკუმენტების ასლების სარჩევი ხელმისაწვდომია სიმანკას არქივში, ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოგრაფიული საცავი, რომელიც საქართველოს გადაეცა.

ასევე აღსანიშნავია ფაქტი, რომ ბოლო საუკუნეებში ქართული სამეფო დინასტიის წამომადგენლებმა, რომლების საბჭოთა რეპრესიას გადაურჩნენ, ბაგრატიონებმა, თავშესაფარი ესპანეთში იპოვეს და მათი უმეტესობა ისევ მადრიდშია. ერთი მათგარი ცნობილი ავტოპილოტია ფორმულა 1-ში, ხორხე ბაგრატიონი, რომელმაც 1979 წელს ესპანეთის სახელით გაიმარჯვა ჩემპიონატზე, ესპანეთში მიგრირებული პირველი ქართული ოჯახის წევრი იყო, რომელიც საქართველოში დაბრუნებიდან 2

წელიწადში გარდაიცვალა. 2012 წელს ბიოგრაფიული წიგნი ხორხე ბაგრატიონის ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ გამოიცა ინგლისურად კომპანია Betascript Publishing-ის მიერ.

ბაგრატიონების ოჯახმა დააარსა და დააფინანსა მადრიდში პირველი ორთოდოქსული ეკლესიის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი საბერძნეთის ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენელი იყო, ეს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი იყო ქართული დიასპორის შესახვედრად, რომელიც 90-იანებიდან რაოდენობრივად მნიშვნელოვნად გაიზარდა და მრავალ კულტურულ ღონისძიებას ატარებს.

თარგმანი ქართულიდან ესპანურად

ქართულიდან ესპანურად თარგმანის სფეროში მიმდინარე სიტუაციისა და ტენდენციების განხილვისას, რამდენიმე საკითხი უნდა გვახსოვდეს:

როგორც დასაწყისში აღინიშნა, მიუხედავად ქართული დიასპორის ინტენსიური საქმიანობისა ეროვნული კულტურის განსავითარებისათვის, მრავალი შემოქმედებითი საქმიანობა არ არის აღნიშნული ლიტერატურულ/მთარგმნელობით პერსპექტივაში.

თუმცადა, უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ქართულ-ესპანური ლიგვისტური და სამეცნიერო თანამშრომლობის კუთხით, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ქართველებისა და ესპანელი იბერიელების საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზაზე, რომელსაც მრავალი ლინგვისტი და ისტორიკოსი უჭერს მხარს. არაერთი სამეცნიერო-ლინგვისტური ნაშრომი დაიწერა აღნიშნული თეორიის შესახებ.

ერთ-ერთი მაგალითია მეცნიერ შოთა ძიძიგურის წიგნი „ბასკები და ქართველები“ ვიტორიას რედაქციით და მისი ხავიერ კვინტანასთან ერთობლივი ნაშრომი სახელად „Presente y futuro de la Vascolgia en Georgia“, (ბასკოლოგია ახლა და მისი მომავალი საქართველოში), რომელიც გამოქვეყნდა პამპლონას საგამომცემლო სახლის მიერ, არანზადიში.

რაც შეეხება ლიტერატურულ თარგმანებს, თუ ქართველი მწერლების უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებებს გადავხედავთ, არცერთი შემოქმედებითი ნამუშევარი არ არის ესპანურად ნათარგმნი გარდა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნისა. ეს შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები სამჯერ იყო ნათარგმნი ესპანურად. ბოლო ვერსია 2003 წელს გამოიცა და დაიბეჭდა მალაგის უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლში მარია ელვირა როკას რედაქციით. თუმცადა, თარგმანი პირდაპირ ქართული ტექსტიდან არასოდეს შესრულებულა, სხვა ენებიდან თარგმანებთან შედარებით.

„ვეფხისტყაოსანი“ ასევე არის ნათარგმნი ბასკურ ენაზე ავტორ ჯ. კვინტანას მიერ.

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

რაც შეეხება მოკლე ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ნათარგმნია ნოდარ დუმბაძის, ოთარ ჭილაძის, ვანო სტურუას და ა.შ. რამდენიმე მოთხრობა.

სხვადასხვა ქართველი მწერლის ნაწარმოები, რომელიც ესპანეთში გამოიცა, ძირითადად რუსულიდანაა ესპანურ ენაზე ნათარგმნი და საბჭოთა პერიოდს ეხება. მრავალი მათგანი მოსკოვის საგამომცემლო სახლ „რადუგას“ მიერ გამოიცა.

ზოგადი სტატისტიკა და ჟანრების დაყოფა

1964

წიგნი: “El caballero de la piel de tigre” (ვეფხისტყაოსანი)

ავტორი: რუსთაველი, შოთა

თარგმნა გუსტავო დე ტორემ [რუსული]

საგამომცემლო სახლი: სანტიაგო დე ჩილე

1979

წიგნი: “Presente y futuro de la Vasculogía en Georgia,” (ბასკოლოგია ახლა და მისი მომავალი საქართველოში)

ავტორი: მიძიგური, შოთა/ ხავიერ კინტარა

საგამომცემლო სახლი: პამპლონა, არანზდი

ელექტრონული ვერსია:

<http://www.euskaltzaindia.net/dok/ikerbilduma/11324.pdf>

1982

წიგნი: Vascos y georgianos (ბასკები და ქართველები)

ავტორი: მიძიგური, შოთა

საგამომცემლო სახლი: Noranahi, ვიტორია

1983

წიგნი: Cuentos de Georgia (ქართული ზღაპრები)

რედაქტირებული: Bravo-Villasante, Carmen

ილუსტრაცია: ხესუს გაბან

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

საგამომცემლო სახლი: Susaeta, D.L მადრიდი

1984

წიგნი: Euskalerrria vista por N. Marr (IX Congreso de Estudios Vascos, Bilbao)

ავტორი: მიხეილ შოთა

საგამომცემლო სახლი: San Sebastián: Eusko Ikaskuntza, D.L.

1985

წიგნი: Las mejores poesías rusas

ავტორი: აბაშიძე, გრიგოლ

რედაქტირებული: ასტორ, ცეზარ [ქართული] [რუსული]

საგამომცემლო სახლი: Mitre ბარსელონა

1986

წიგნი: Caminaba un hombre [Spanish] (გზაზე ერთი კაცი მიდიოდა)

ავტორი: ჭილაძე ოთარ

რედაქტირებული: ფიერო, ანდრეს [რუსული] [ქართული]

საგამომცემლო სახლი: Raduga, მოსკოვი

1986

წიგნი: Relatos De Escritores Georgianos (ქართველი მწერლების მოთხრობები)

ავტორები: ლორტიფანიძე, ვ. სულაკაური, ა. გენაბრე, მარია მერსე; კარანდაშოვ, ოლეგ [რუსული] [ქართული]

საგამომცემლო სახლი: Raduga, მოსკოვი

1991

წიგნი: El cuento de los tres devis (სამი დევის ამბავი)

ავტორი: სტურუა ვანო

რედაქტირებული: კვინტანა ურტიაგა, ხაბიერ [ქართული]

საგამომცემლო სახლი: Fher, ბილბაო

1993

წიგნი: Fuentes para la historia de Georgia en bibliotecas y archivos españoles: siglos XV-XVII. *((ესპანური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის ბიბლიოთეკებსა და არქივებში (XV-XVII საუკუნეები))*

ავტორი: გილ ფერნანდეს, ლუის, ტაბალუა, ილია

საგამომცემლო სახლი: Editorial Complutense, მადრიდი

1999

წიგნი: Zaldun tigrelarruduna (ვეფხისტყაოსანი) (თარგმანი ბასკურ ენაზე - კინტანა ურტიაგა, ხაბიერ)

ავტორი: რუსთაველი, შოთა

თარგმნა კინტანა ურტიაგა, ხაბიერმა [ქართული]

საგამომცემლო სახლი: Alfaguara, მადრიდი

2000

წიგნი: El caballero de la piel de tigre (ვეფხისტყაოსანი)

ავტორი: რუსთაველი, შოთა; მარტინეს, ლეონორ

საგამომცემლო სახლი: Círculo de lectores, ბარსელონა

2003

წიგნი: El caballero de la piel de tigre

ავტორი: რუსთაველი, შოთა

რედაქტირებული: როკა ბარეა, მარია ელვირა

საგამომცემლო სახლი: Universidad de Malaga

ISBN: 84-7496-994-8

სხვა გამოცემები

1978

წიგნი: Tbilisi, una encrucijada en el Cáucaso georgiano (თბილისი, საქართველოს კავკასიის გზაჯვარედინზე)

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

ავტორი: სანს გარსია, ხოსე მარია

საგამომცემლო სახლი: Real Sociedad Geográfica, მადრიდი

1978

წიგნი: Misioneros agustinos en Georgia (x.XVI)

ავტორი: ალონსო, კარლოს

საგამომცემლო სახლი: Estudio Agustiniario, ვალიადოლიდი

ISBN: 8440050615

1980

წიგნი: A propósito de la traducción de “vascos y georgianos” de Shota Dzidziguri (შოთა ძიძიგურის „ქზასკურის და ქართულის თარგმნის მიზნები)

ავტორი: სანტოიო, ხულიო ცეზარ

საგამომცემლო სახლი: León: Universidad de León, Facultad de Filosofía y Letras,

1987

წიგნი: ოთარ იოსელიანი

ავტორი: იოსელიანი, ოთარ

საგამომცემლო სახლი: Filmoteca Española, 1987 მადრიდი

1995

წიგნი: Signos y milagros. Niko Pirosmiani y el arte contemporáneo

ნიშნები და სასწაულები. ნიკო ფიროსმანის და თანამედროვე ხელოვნება.

ავტორი: კურიგერ, ბრუსი

ტექსტი ესპანურად და ინგლისურად.

საგამომცემლო სახლი: Santiago de Compostela: Centro Gallego de Arte Contemporánea.

ISBN: 84-453-1444-0

1994

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

წიგნი: Tendencias de la educación ambiental a partir de la Conferencia de Tbilisi. (გარემოსდაცვითი განათლების ტენდენციები თბილისის კონფერენციაზე)

საგამომცემლო სახლი: ბილბაო: Los Libros de la Catarata

ISBN 84-87567-93-2

1994

წიგნი: Pensadores en educación

ავტორი: კეკვაშვილი, გიორგი

Perspectivas, UNESCO JOURNAL

UNESCO: განათლების საერთაშორისო ოფისი

საგამომცემლო სახლი: UNESCO PUBLISHING

ISBN: 978-92-3-103398-8

1998

წიგნი: La educación ambiental, 20 años después de Tbilisi (გარემოსდაცვითი განათლება, ოცი წელი თბილისის შემდეგ)

ავტორი: ნ. მარტინ სოსა, ა. ჯოვანი და ფ.ა. ბარიო ხუარეს (კოორდინატორები.)

საგამომცემლო სახლი: Amaru, სალამანკა

ISBN 84-8196-102-7

2001

წიგნი: ოთარ იოსელიანი

ავტორი: ბარკაროტი, ლუჩიანო, ჰინტერმან, კარლო

საგამომცემლო სახლი: Donostia-San Sebastián : Festival Internacional de Cine de Donostia-San Sebastián : Filmoteca Vasca

ISBN: 84-88452-21-7

2009

წიგნი: Los vínculos europeos del substrato íbero: substrato en el catalán, origen del vasco, relación con el paleosardo y el georgiano, adstrato celtoligur.

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

(იბერიული სუბსტრატის ევროპული კავშირი: კატალონიური, ბასკური წარმოშობის სუბსტრატი, ურთიერთობა ქართულთან).

ავტორი: ხუან კ. ვიდალ

საგამომცემლო სახლი: La Busca, ბარსელონა

First edition: მაისი 2009 ISBN: 978-84-96987-36-4 მეორე გამოცემა: აპრილი 2012 (ელექტრონული) <https://binper.files.wordpress.com/2012/04/vinculos.pdf>

2009

წიგნი: Primavera en Georgia: Un diario de Magnum (გაზაფხული საქართველოში)

ავტორი: ვენდელ სტივენსონი და საქართველოს კულტურის სამინისტრო

საგამომცემლო სახლი: ბარსელონა; México D.F.

ISBN: 978-84-92480-62-3

2009

წიგნი: Especial Georgia (განსაკუთრებული საქართველო)

ავტორი: საქართველოს საელჩო ესპანეთში

Nº 5 Journal: Ejecutivos (Instituciones y empresas)

საგამომცემლო სახლი: Ejecutivos, ბარსელონა

2009

წიგნი: Cita Internacional: Georgia (La revista de los países con Representaciones Diplomáticas en España)

ავტორი: საქართველოს საელჩო ესპანეთში

საგამომცემლო სახლი: Ediciones Embassy, მადრიდი

2011

წიგნი: Cocina Georgiana (ქართული სამზარეულო)

ავტორი: ბერიძე ლია, გველესიანი დალი. მარიამ უშიკაშვილი

რედაქტორი: მერაბ ბერაძე, თბილისი

ესპანეთის საგამომცემლო სახლების მიმოხილვა, რომლებმაც გამოაქვეყნეს თარგმანები ქართულიდან ესპანურ ენაზე

1. **Editorial Fher** დაარსებული 1937 წელს არის ესპანური საგამომცემლო კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ბილბაოში და ორიენტირებულია სტიკერების ალბომების, ინსტრუქციების, ქალაქის თოჯინების, კომიქსების და ა.შ. გამოცემაზე, გამიზნულია ძირითადად ბავშვებისა და მოზარდებისათვის.
2. **The Progress / Raduga Publishers** იყო მოსკოვში 1931 წელს დაფუძნებული საგამომცემლო სახლი. ის სპეციალიზირდებოდა უცხო ენებზე ნათარგმნ წიგნებზე. საბავშვო წიგნები პროდუქციის მხოლოდ ნაწილი იყო. ისინი ასევე აქვეყნებდნენ წიგნებს მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ, წიგნებს უცხო ენის შემსწავლელებისთვის, გზამკვლევებს და ფოტოალბომებს. [...] გამომცემლობა „პროგრესმა“ შეწყვიტა არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.
3. **Círculo de lectores.** დაფუძნდა 1962 წელს საგამომცემლო სახლ **Group Planeta**-ს ნაწილიდან დაესპანეთში უდიდესი სოციალური ქსელი აქვს მკითხველების. 1989 წელს ის კატალონოს მკითხველთა კლუბი იყო და დღესდღეობით ის 50,000-ზე მეტი წევრით ამყობს. **Círculo de Lectores, S.A. / Travessera de Gràcia, 47-49, 08021 ბარსელონა. www.circulo.es**
4. **SPICUM, მალაგას უნივერსიტეტის გამომცემლობა.** ეს კომპანია პასუხისმგებელია ნაშრომებისა და კვლევის პროექტების გამოქვეყნებასა და პოპულარიზაციაზე. სუბსიდირების წყალობით, ის ხელს უწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის გამოცემას და უზრუნველყოფა გამოცემული ნაშრომების მიწოდებას და გაცვლას სხვა უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებში.
Editorial Complutense S.A. (ECSA) არის ესპანეთში, მადრიდის კომპულტენსის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო გამომცემლობა. ის 1944 წელს დაარსდა მიზნით „რედაქტირება. წიგნების დისტრიბუცია და მარკეტინგი. პროდუქტები და სხვადასხვა ახალი მედია ტექნოლოგია გამომცემლობის მემკვიდრეობა“. გამომცემლობის თემები: ეკონომიკური მეცნიერებები, სამედიცინო მეცნიერებები, მედიცინა, ფარმაცია, ვეტერინარული მეცნიერება, ბიოლოგია, ბოტანიკა, გეოლოგია, ზოოლოგია, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ცნობარები, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, ბიოგრაფია, პოლიტიკა, სოციოლოგია...
5. **SUSAETA EDITIONS** ესპანურენოვან ბაზარზე საბავშვო წიგნების წამყვანი გამომცემელია და ერთ-ერთი მთავარი გამომცემელი კულინარიაში, მებაღეობაში, თვითმასწავლებლებში და ზოგად ცნობარებში, რომელიც წელიწადში დაახლოებით 300 ახალ წიგნს გამოსცემს.

წიგნების გამოცემა ჟანრის მიხედვით

წელი	რომანი	მოთხრობა	პოეზია	საბავშვო ლიტერატურა	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	წმინდა ტექსტები და თეოლოგია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სხვა
1978	0	0	0	0	0	0	0	2
1979	0	0	0	0	1	0	0	0
1980	0	0	0	0	1	0	0	0
1981	0	0	0	0	0	0	0	0
1982	0	0	0	0	1	0	0	0
1983	0	1	0	0	0	0	0	0
1984	0	0	0	0	1	0	0	0
1985	0	0	1	0	0	0	0	0
1986	0	0	0	0	0	0	0	0
1987	0	0	0	0	1	0	0	0
1988	0	0	0	0	0	0	0	0
1989	0	0	0	0	0	0	0	0
1990	0	0	0	0	0	0	0	0
1991	0	1	0	0	0	0	0	0
1992	0	0	0	0	0	0	0	0
1993	0	0	0	0	1	0	0	0
1994	0	0	0	0	0	0	1	0
1995	0	0	0	0	0	0	0	0
1996	0	0	0	0	0	0	0	0

1997	0	0	0	0	0	0	0	0
1998	0	0	0	0	0	0	1	0
1999	1	0	0	0	0	0	0	0
2000	1	0	0	0	0	0	0	0
2001	0	0	0	0	1	0	0	0
2002	0	0	0	0	0	0	0	0
2003	1	0	0	0	0	0	0	0
2004	0	0	0	0	0	0	0	0
2005	0	0	0	0	0	0	0	0
2006	0	0	0	0	0	0	0	0
2007	0	0	0	0	0	0	0	0
2008	0	0	0	0	0	0	0	0
2009	0	0	0	0	1	0	0	3
2010	0	0	0	0	0	0	0	0
2011	0	0	0	0	0	0	0	0

ეს მონაცემები არ ითვალისწინებს რუსული და ქართული საგამომცემლო სახლების მიერ გამოქვეყნებულ წიგნებს და თარგმანებს.

მედიატორები

რაც შეეხება ქართულიდან ესპანურად თარგმანების მედიატორებს და იმ აქტორებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს თარგმანსა და თარგმანების გავრცელებაში ესპანეთში, ეს ძირითადად ქართული თემის წევრები არიან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ესპანეთში საქართველოს და ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობის მთარგმნელობითი ფონდი.

ვინაიდან თარგმანი ქართული ენიდან ესპანურ საგამომცემლო კომპანიებში ათს არ სცილდება, ჩვენ არ შეგვიძლია განზოგადებული განცხადების გაკეთება გამომცემლების როლის შესახებ ქართული ლიტერატურის თარგმანისა და გავრცელების საკითხში.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ლიტერატურის საერთაშორისო აღიარება და ფაქტი, რომ ის ნათარგმნია ინგლისურად, გერმანულად ან ფრანგულად, შეიძლება გახდეს ესპანელი გამომცემლობების აქტივობის გაზრდის მიზეზი.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქართული და ესპანური უნივერსიტეტების თანამშრომლობა და ურთიერთობა სამეცნიერო-ლინგვისტური პუბლიკაციების სფეროში.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა წარმატებული წიგნის ბაზრობების, ფესტივალების და საჯარო კითხვის ღონისძიებების რაოდენობა, რომელსაც ორგანიზებას უწევს ქართული ასოციაციები, საგამომცემლო კომპანიები ან საქართველოს კულტურის სამინისტრო. გრანტების/სუბსიდიების ხელმისაწვდომობა გამომცემლობებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთ-ერთი დამხმარე ინსტრუმენტია.

ქართული ენიდან მთარგმნელები - სამუშაო პირობები და ტრენინგი

ცნობილია, რომ თუ ქართულიდან ესპანურად ლიტერატურის კვალიფიციური მთარგმნელები არ იქნებიან, ან თუ ლიტერატურული თარგმანი სათანადოდ არ იქნება ანაზღაურებული და მთარგმნელები შეზღუდულები იქნებიან, მოლოდინი ქართული ლიტერატურის ესპანურ ენაზე თარგმანების რაოდენობის ზრდისა არ იქნება და შესაბამისად, არ გაიზრდება ესპანური საგამომცემლო სექტორის ინტერესი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მთარგმნელობითი ფონდი ქართული მთარგმნელობითი სამუშაოს განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები წარმოადგენენ უდიდეს სტიმულს მთარგმნელებისათვის და ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისათვის.

ქართველ მკვლევარს, ლაშა ბაქრაძეს მიაჩნია, რომ ქართული დიასპორის აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობაში ჩართვა არის ერთ-ერთი გზა პრობლემის გადაჭრისა, საქართველოში და საზღვარგარეთ მთარგმნელობითი ცენტრების ჩამოყალიბების გზით, ვინაიდან მთარგმნელების უმრავლესობა, რომლების ქართულ ლიტერატურას საბჭოთა პერიოდში თარგმნიდა ან ასაკიანია ან გარდაიცვალა. როგორც ლაშა ბაქრაძე აღნიშნავს, ეს თუ არ მოხდება, ძალიან რთული იქნება ქართული კულტურის საზღვარგარეთ გატანის საკითხის მოგვარება და არა მხოლოდ თარგმანების კუთხით. ბაკურ სულაკაურის საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელის, ა. სულაკაურის თანახმად, ხშირია შემთხვევა, როდესაც უცხოელი გამომცემელი გადაწყვეტს ქართველი ავტორის ნაწარმოების გამოცემას, მაგრამ ეს პროცესი ფერხდება იმის გამო, რომ სწრაფად ვერ პოულობენ მთარგმნელს. როგორც გამომცემლობის ხელმძღვანელი აღნიშნავს, მათ პრაქტიკულად არ ჰყავთ მთარგმნელები ქართულიდან ესპანურ ენაზე.

თუმცა, მას მიაჩნია, რომ ერთ-ერთი წინაპირობა ამის გამოსასწორებლად, თარგმანებზე სახელმწიფო ფონდების მუშაობის გააქტიურებაა. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც აფინანსებს მთარგმნელობით საქმიანობებს და როდესაც წიგნი დაიბეჭდება, კომპენსაციას უწევს უცხოელ გამომცემლობას, რომელიც დაინტერესებულია ქართული ლიტერატურით. ამ პროცესის ორგანული ნაწილია მთარგმნელთა ცნობარის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ქართველ და უცხოელ მთარგმნელებს.

ამგვარად, ქართველი ავტორების თარგმანების გამოქვეყნების პროცესი ისევ ფრაგმენტულია და ბუნებრივია, დიდი დაშორებებით; ყოველწლიურად ასობით ათასი წიგნის გამოცემა, მაშინ როცა ქართული პროდუქცია რაოდენობრივად საკმაოდ მცირეა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საგამომცემლო კომპანიებს რამდენიმე წლით ადრე აქვთ გაწერილი გეგმა, თუ რა გამოსცენ, ქართულ მხარეს გარკვეული დრო ჭირდება მათი მიზნების მისაღწევად.

მიუხედავად ამ სირთულია ფაქტია, რომ ქართულ წიგნს კვლავ შეუძლია ეტაპობრივად შეიჭრას ევროპულ ბაზარში.

სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს ფონდ „ქართველოლოგის“ ჩამოყალიბება. ფონდი მუშაობს ქართულ გენეალოგიაზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული ლიტერატურული თარგმანის განვითარებასა და მოძიების საკითხში. ფონდი ხელმძღვანელმა, პროფესორმა ე. ხინთიბიძემ წარმოადგინა ვრცელი მონოგრაფია ევროპაში არსებული ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ.

ახალი არ არის, რომ მნიშვნელოვან საგამომცემლო როგორც ზოგად, ისე ლიტერატურულ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წიგნის ბაზარს. ამ გადმოსახედიდან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მიიღო მონაწილეობა ბასკეთში დურანგოს წიგნის ბაზარზე 2007 წელს, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ქართველი მწერლები და ქართულ-ბასკური ლიტერატურული საქმიანობა.

ქართველი მწერლების მხრიდან წინადადებული ნაბიჯია ასევე მათი მონაწილეობა 2012 წლის საერთაშორისო ღონისძიებაზე - ლაიპციგის წიგნის ბაზრობა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩვენი ქვეყნისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა.

მთარგმნელობითი სამუშაო შეხვედრების გახსნას, რომელსაც თბილისის გოეთეს ინსტიტუტი უკეთებს ორგანიზებას ბოლო 2 წლის მანძილზე, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის ევროპაში გატანის საქმეში.

წელს ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებით ღონისძიებებს დაემატა საზაფხულო სკოლა. უახლოეს მომავალში იმედია საფუძველი ჩაეყრება მსგავსი სამუშაო შეხვედრების შექმნას ქართულ-ესპანური თარგმანების განვითარების მიზნით.

ის ადგილობრივი ღონისძიებები, რომლებიც ორგანიზებული იყო ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოში ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიის პოპულარიზაციას. ამ გადმოსახედიდან, დაკვირვების საინტერესო საგანია საბას ლიტერატურული პრემია, რომელიც აჯამებს წელს და ავლენს სხვადასხვა ჟანრში საუკეთესო ლიტერატურულ პროდუქტს. ბოლო წლებში საბას ლიტერატურულ კონკურსზე წარდგენილმა წიგნების რაოდენობამ იმატა. კონკურსის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ეს შესაძლებელი გახდა ლიტერატურის მთარგმნელობით საქმიანობაში კარგი აქტივობის წყალობით.

ქართველი გამომცემლობების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში საკმაოდ წარმატებულია. საგამომცემლო ინდუსტრიაში ყველაზე პრესტიჟული კონკურსია *Gold Ink Awards* (*ოქროს მელნის ჯილდო*) რომელიც ორგანიზებულია ჟურნალ *Printing Impressions*-ს მიერ - ჯილდოს მიღება შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი მბეჭდავისათვის.

2011 წელს ზემოთ აღნიშნულ კონკურსზე წარმოდგენილი იყო 2012 წლის კალენდრი „გაიცანი საქართველოს - 366 დღე“, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ქართულ გამომცემლობას „უსტარი“.

საქართველო არ ჩამორჩება მსოფლიო საგამომცემლო ინდუსტრიაში ელექტრონულობის მზარდ ტენდენციას. ელექტრონული წიგნების კატალოგი, „იოტა რიდერი“ შექმნილია და შესაძლებლობას აძლევს მკითხველს წაიკითხოს ქართული ლიტერატურა, სამეცნიერო ნაშრომები ან პრესა ელექტრონულ ფორმატში.

რაკელ გრატსფილდი, ლიტერატურული აგენტი და შვეიცარიელი გამომცემელი ციურიხში, რომელიც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში, ქართული საგამომცემლო ინდუსტრიის სამომავლო განვითარების საკმაოდ იმედისმომცემ სურათს ხატავს. ბევრი შვეიცარიელი და გერმანელი გამომცემლისათვის, მიუხედავად მათი შემოქმედებითი სამუშაოსი და აქტიური მედიაციისა, ცხადი ხდება, რომ საქართველოს გამორჩეული და საინტერესო ლიტერატურა აქვს.

მიღება

როგორც ამ კვლევაში აღვნიშნეთ, თარგმანების მცირე რაოდენობის, განსაკუთრების 1990 წლიდან, გათვალისწინებით, შეფასება ქართული ლიტერატურის ესპანეთში მიღებადობის შესახებ, საკმაოდ რთულია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესი გაიზარდა და წიგნების ბაზარმა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლობებიდან კონკრეტული წინადადებები.

რიგი თანამედროვე მწერლების, როგორცაა აკა მორჩილაძე, დავით ტურაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ნაწარმოებები კარგად გაყიდვად წიგნების რიგშია და კარგად იყო მიღებული ბოლო დროის წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით თანამედროვე მწერლების ესპანურ ენაზე თარგმანები არ არსებობს (გარდა დავით ტურაშვილის ერთი მოთხრობისა „პაპაჩემი“ (“Mi abuelo”), რობერტო სერანოს თარგმანით), ვიმედოვნებთ, რომ მთარგმნელობითი ფონდის და სასწავლო პროგრამების გააქტიურებით, სიტუაცია მალე გაუმჯობესდება.

ესპანეთში ქართული დიასპორისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის ბოლო პერიოდის საქმიანობები

საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებით და ქართულ დიასპორასთან თანამშრომლობით საქართველოს საელჩო ესპანეთში ყოველწლიურად უწევს ორგანიზებას *საქართველოს კულტურის დღეებს* ესპანეთში, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, ჩვენ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ქართული დიასპორის წარმომადგენლობის აქტივობა, რომელიც ესპანეთში ქართული კულტურის გავრცელებაში მთავარ როლს თამაშობდა მრავალი წლის მანძილზე და დღესაც ინარჩუნებს ამ როლს. მნიშვნელოვანმა მოვლენებმა რომლებსაც 2007-2012 წლებში ჰქონდა ადგილი, დადებითი ეფექტი იქონია და გაზარდა ესპანური საზოგადოების ინტერესი ჩვენი კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. ამ პერიოდში წარმოდგენილი იყო მრავალი ასპექტი ჩვენი ქვეყნისა, დაწყებული უძველესი ტრადიციებით თანამედროვე ნაშრომებამდე. საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვანმა ესპანურმა ჟურნალებმა “Ejecutivos” და “Cita Internacional” გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისადმი, კულტურისა და ჩვენი ქვეყნის ახლანდელი სიტუაციისადმი მიძღვნილი ორი ნომერი. ჩვენ შეგვიძლია ხაზგასმით აღვნიშნოთ გამოჩენილი ქართველი მხატვრის, გია ბულაძის გამოფენა 2008 წელს მადრიდის „პლაზა დალის გალერეაში“ ან ქართული ბალეტის, „სუხიშვილების“, ფოლკლორული ანსამბლის, „რუსთავის“ და „ერისიონის“ ვიზიტი, პიანისტ ელისო ვირსალაძის და ხატია ბუნიათაშვილის მშვენიერი ინტერპრეტაციები. ესპანეთის კიდევ ერთი ხშირი სტუმარია საქართველოს ოპერის ცნობილი სახიობი და ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი, პაატა ბურჭულაძე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ორგანიზებას უწევდა მრავალ საქველმოქმედო აქციას ესპანურ ფონდ „SOS“-თან თანამშრომლობით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო Magnum Photographer გამოფენა მადრიდში, რომელზეც წარდგენილი იყო Magnum Photo-ს წიგნი „Primavera en Georgia“ (გაზაფხული საქართველოში) თარგმნილი ესპანურად და გამოცემული ბარსელონალი RM გამომცემლობის მიერ. დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა,

ტრადიციისამებრ წარმოადგენდა თემს და ხალხი წარმოადგენდა ესპანური საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს. ეს ღონისძიებები შესანიშნავი საშუალება იყო ესპანური საზოგადოებისათვის ქართული კულტურის გასაცნობად და ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან დასახლოვებლად.

რიგი შთამბეჭდავი ღონისძიება არის დაგეგმილი 2013 წელს. განსაკუთრებით საინტერესოა ორი ქართველი მხატვრის ექსპოზიცია და ქართული კინოს რეტროსპექტიული ხედევა, რომელიც სავარაუდოდ მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ საქართველო ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას IFEMA ესპანეთის საერთაშორისო ბაზრობაზე, სადაც წარადგეს ქართულ კულტურას და ტურისტებს სთავაზობს ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის შესახებ. როგორც ამ კვლევაში უკვე აღვნიშნეთ, ქართული საზოგადოება ორგანიზებას უწევს და აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქართულ ღონისძიებაში ესპანეთში. მის დამსახურებებს შორის შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მადრიდში ქართული ორთოდოქსული ეკლესიის შექმნას, რომელიც ასევე მოიცავს სასწავლო ცენტრს. დღეს ეს ქართული დიასპორისათვის ყველაზე ხშირი თავშეყრის ადგილია.

ეს ინტეგრირებული საკვირაო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამა 2011 წელს დაიწყო ორ ინსტიტუტს - ქართული დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის თანამშრომლობის საფუძველზე. ის ზუსტად ემთხვევა საქართველოს სასკოლო პროგრამას და იმუშავა 3 საგანზე: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. ქართველმა თანამემამულეებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოხატეს ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ, რომლითაც დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლები, მათი საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, შეძლებენ გააგრძელონ განათლება საქართველოს უნივერსიტეტებში და ბარიერის გარეშე მოახდინონ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა რამდენიმე წლის წინ ქართული კულტურული ასოციაციის ჩამოყალიბება გვადალახარაში (პატარა ქალაქი, მადრიდიდან 80 კმ). ცენტრს აქვს ვებგვერდი, <http://www.laprensaiberica.com/> სადაც ქვეყნდება ყველა საინტერესო სიახლე და ღონისძიება ესპანეთში ჩვენი ქვეყნის შესახებ.

საერთო ჯამში ესპანეთში რეგისტრირებულია სამი ქართული ცენტრი: ასოციაცია „სათვისტომო“ მადრიდში, ესპანურ-ქართული ასოციაცია „იბერია“ გვადალახარაში და ასოციაცია “Hijos de Georgia en La Rioja“, არნედა, ლა როხას თემი.

საქართველოს დიასპორის საკითხებში ყოფილი მინისტრი, პაპუნა დავითაია მისი საქმიანობის ფარგლებში ეწვა ესპანეთს 2012 წელს, გამართა შეხვედრა ქართული

საზოგადოების წარმომადგენლებთან და ქართული დიასპორის ორგანიზაციებთან, რომლებიც მადრიდში და ბარსელონაშია. შეხვედრების დროს მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსთვის დიასპორის საკითხების, ეროვნული იდენტობის, ქართლი ენის, ტრადიციების და კულტურის მნიშვნელობას, თანამემამულეებისთვის, ვიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობს. გარდა ამისა მან ხაზი გაუსვა ერთიან ეროვნულ სივრცეში ინტეგრირებული დიასპორის საშრობას, ქართული კულტურის, ლიტერატურის, ისტორიის, ფოლკლორული ჯგუფების და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციისათვის ქმედებების გაძლიერებას.

ამ შეხვედრას ყურადღება მიექცა ქართული დიასპორის ორგანიზაციების წარმატებული მუშაობის ხელშეწყობას, საკვირაო სკოლებსა და ფოლკლორულ ანსამბლებს.

დასკვნა

1980-იანი წლების პერიოდის გახსენებისას ქართულიდან ესპანურად თარგმანთან დაკავშირებით, ჩვენ შემდეგი სამი ტენდენცია შეგვიძლია დავინახოთ: 90-იანებში ქართული ლიტერატურის გაცნობა ძირითადად რუსულიდან ან სხვა ენიდან თარგმანით, სამეცნიერო-ლინგვისტურ სფეროში გაზრდილი ინტერესი; 90-იანებიდან ლიტერატურული მთარგმნელობითი აქტივობის შეჩერდა რომელიც რიგმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ფაქტმა განსაზღვრა; და 2007 წლიდან საქართველოსა და ესპანეთს შორის კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების რაოდენობა გაიზარდა ქართული თემისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის წყალობით, რომელმაც მთავარი როლი ითამაშა ესპანეთში ქართული კულტურის გავრცელებაში და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელოვანმა მოვლენებმა რომლებსაც 2007-2012 წლებში ჰქონდა ადგილი, დადებითი ეფექტი იქონია და გაზარდა ესპანური საზოგადოების ინტერესი ჩვენი კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ.

მიუხედავად თარგმნილი ნაწარმოებების შედარებითი და აბსოლუტური რაოდენობისა სიმცირისა სხვა ენებთან შედარებით, ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, ქართული ლიტერატურის მიმართ ინტერესი გაიზარდა და წიგნების ბაზარმა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის გამომცემლობებიდან კონკრეტული წინადადებები.

ასევე ქართველი მწერლების მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია მათი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო წიგნის ბაზრობა, რაც რამდენიმე წლის წინ ჩვენი ქვეყნისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა.

რაც შეეხება ესპანურ-ქართულ ურთიერთობას, ბოლო პერიოდის ძალისხმევა მთარგმნელობითი ფონდების და სასწავლო ცენტრების განსავითარებლად და ესპანეთსა და საქართველოში თარგმანების სუბსიდირების სრული სისტემა, ნამდვილად გაამდიდრებს მთარგმნელობით აქტივობებს შექმნის რა მრავალ

კვალიფიცირებულ მთარგმნელს ქართულიდან ესპანურად და პირიქით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული წიგნის ინდუსტრიის და მთარგმნელობითი აქტივობის განვითარებაში იმედისმომცემი სურათი ჩანს.

ლიტერატურა

1. El sector del libro en España 2010-2012. Observatorio de la Lectura y el Libro. Ministerio de Educacion, Cultura y deporte. Abril 2012.
http://www.mcu.es/principal/docs/MC/2012/Libro/Sector_del_Libro_Abril_2012.pdf
2. Federación de Asociaciones Nacionales de Distribuidores de Ediciones (FANDE), 2010. "XV Estudio de perfil del sector de la distribución de libros publicaciones periódicas (Colaboración del Ministerio de la Cultura) Edit. "La Factoría de Ediciones, S. L. Madrid.
3. Panorámica de la Edición Española de Libros. Ministerio de Cultura (ediciones 1990-2010). www.mcu.es/libro/MC/PEE/index.html
4. II Libro Blanco de la Traducción Editorial en España. ACE Traductores, Ministerio de Cultura 2010 www.calameo.com/read/00007533587198e49a11c
5. Principales características del sector editorial de la Comunidad de Madrid. Asociación de Editores de Madrid. Ed. Conecta Research & Consulting
6. Survey on digital publishing rights for literary translators in Europe. Holger Fock, Martin de Haan, CEATL, Brussels 2010 www.ceatl.eu
7. Sufic traces in Georgia literature. Katharine Vivian. Monograph No. 18 The Institute for Cultural Research.
8. Э. Хинтибидзе Грузинская литература в восточноевропейской науке. Georgian Literature in East European Scholarship. проект-грант (№ 030-08) фонда Руставели.
9. Literary translation in Eastern Europe and Russia. Brian James Baer. Kent State University. Ed. John Benjamins Publishing Company Amsterdam / Philadelphia
10. საგამომცემლო სახლის Directory in Spain / *publication of*: Federación de Gremios de Editores de España. 2005

სხვა წყაროები მოიცავს:

- The Index Translationum
- Publish Global" გამომცემლობების ცნობარი, საგამომცემლო სიახლეები და ღონისძიებები
- ესპანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა
- მადრიდის კომპულტენსის ბიბლიოთეკა
- Museo Reina Sofia's Reserch Centre, Library and Archive
- Feria de Libro de Madrid
- LIBER, ესპანეთის საერთაშორისო ბაზარი
- ქართული ლიტერატურის შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი
- ქართველოლოგიის ფონდი
- ქართული წიგნისა და ლიტერატურის მხარდაჭერის პროგრამა

თარგმანები ქართულიდან ესპანურად

- Federación de Gremios de Editores de España.(ესპანეთის გამომცემელთა გილდიების ფედერაცია)
- საქართველოს საელჩო ესპანეთში <http://spain.mfa.gov.ge/>
- ქართული წიგნისა და ლიტერატურის მხარდაჭრის პროგრამა
- La prensa ibérica www.laprensaiberica.com